


საქართველოს ს.ს.რ.



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონის და განკარგულებათა კრებული

1927 წ.

იუსტიციის სასახლას კომისიისათვის გამოცემა

1927 წ. ივლისის 23

№ 4

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სრულიად საქართველოს საბჭოების მე-IV ყრილობის დადგენილებანი.

174

60. დადგენილება—საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტის საბოლოოდ დამტკიცების შესახებ.

61. რეზოლუცია—საქართველოს მთავრობის მოხსენების გამო.

62. რეზოლუცია—ს. მ. უ. ს.-ის მოხსენების გამო.

63. რეზოლუცია—მოხსენებისა გამო—„საქართველოში სასოფლო მეურნეობის განვითარების გზები“.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

64. დადგენილება № 42 ც. ა. კ. და ს. კ. —სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხ. შეცვლისა და 144¹ მუხ. ამოშლის შესახებ.

65. დებულება—ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის („სრულსაქინდამხკომი“-ს) შესახებ.

66. დადგენილება № 43 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების შესახებ.

67. დადგენილება № 44 ც. ა. კ.—ლენინის დაყენებისა, შენახვისა და გაყიდვის წესების დამტკიცების შესახებ.

წესები ლენინის დაყენებისა, შენახვისა და გაყიდვის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

68. დადგენილება ს. კ. ს.—სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1, 2, 3, 4, 7, 8, 9, 10, 11, 12 მუხ., მე-13 მუხ. მე-2 შენიშვნისა, 14, 15, 16, 19, 20, 21 და 23 მუხ. რედაქციის შეცვლისა, 17 და 18 მუხ. ამოშლისა და ამ დებულებისათვის 3-¹ და 10-¹ მუხ. დამატების შესახებ.

69. დადგენილება ს. კ. ს.—სახელმწიფო დაწესებულებებში მეცადინეობის დაწყების დროის შესახებ.

70. დადგენილება ს. კ. ს. საავტო-ტრანსპორტო ღონისძიებათა შესახებ.

71. დადგენილება ს. კ. ს.—ადგილობრივი საბჭოების ქონებათა ინვენტარიზაციის შესახებ.

72. დადგენილება ს. კ. ს.—დასარგავი მასალის სავალდებულო დეზინსექციის შესახებ.

73. დადგენილება ს. კ. ს.—მოსახლეობისათვის სასროლი იარაღის ჩამორთმევის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოების მე-IV ყრილობის დადგენილებანი.

60. დადგენილება

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მე-IV ყრილობისა

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტის საბოლოოდ დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მე-IV ყრილობა ადგენს:

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-5 მუხლისა და ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-4 მუხლის თანახმად—სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-3 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის მიერ 1926 წლ. ივლისის 5 თარიღისა და 48 №-რის დადგენილებით მიღებული საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) ტექსტი დამტკიცებულ იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV ყრილობის
თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-IV ყრილობის
მდივანი ს. თოდრია.

1927 წ. აპრილის 4.

ტფილისი-სასახლე.

61. რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

საქართველოს მთავრობის მოხსენების გამო.

მოისმინა რა ამხ. შ. ელიაგას მოხსენება, სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა სავსებით იწონებს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის მოქმედებას და აღნიშნავს იმ მიღწევებს, რომელიც საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სხვადასხვა დარგში აქვს. ამასთანავე ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული დაწინაურების უზრუნველსაყოფად ყრილობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს შემდეგი:

1. რადგანაც ჩვენი ქვეყნის საერთო სამეურნეო აღორძინების საქმეში სოფლის მეურნეობას ჯერ კიდევ მთავარი ადგილი უჭირავს, ამიტომ სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საკითხები საქართველოს მთავრობის ყურადღების ცენტრს უნდა წარმოადგენდეს. ინტენსიფიკაციის გზაზე შემდგარი ჩვენი სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო უნდა განვითარდეს, რათა იგი საქალაქო მრეწველობის ურყევ ბაზად იქცეს.

რადგანაც სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში უპირველესი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას, ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მიღებულ იქნეს ზომები სასოფლო მეურნეობის პროდუქციისათვის საჭირო ბაზრის მოსაპოვებლად და მისი ფასების მოსაწესრიგებლად.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ქვეყნის მრეწველობის განვითარებისა და კერძოდ გლეხის მეურნეობის გაძლიერებისათვის საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ტექნიკურსა და ძვირფას კულტურათა განვითარებას და გაფართოებას, ხოლო სოფლის მეურნეობის საერთო ინტენსიფიკაციისა და პროდუქციის გაძლიერებისათვის ყრილობა საჭიროთ სთვლის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ცხოვრებაში გატარებას.

რადგანაც სოფლის მეურნეობის მავნებლები გლეხის მეურნეობას ყოველწლიურად დიდ ზიანს აყენებენ, საჭიროა გაძლიერებულ იქნეს მათ წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი და ამასთან დაკავშირებით განვითარებულ იქნეს ყველა სახის სანერგების საქმე.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მიღებულ იქნეს სათანადო ღონისძიებანი ჩვენი მესაქონლეობის განვითარებისათვის ხელისშესაწყობად, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა საჭიროა საძოვრების საკითხის საბოლოოდ მოწესრიგება და ვეტერინალური საქმის გაძლიერება, განსაკუთრებით ეპიზოოტიასთან ბრძოლის ხაზით.

რადგანაც მიწათმოწყობის საქმე ჯერ კიდევ მთლად განხორციელებული არ არის, რაც აბრკოლებს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ყრილობას საჭიროდ მიაჩნია, რათა სამიწათმოწყობო მუშაობას მიეცეს დაკვირვითი ხასიათი, რისთვისაც პირველ რიგში გაძლიერებულ უნდა იქნეს მიწისმუშომელთა კადრი, ამასთანავე მიწის სიეწროვესთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება

უნდა მიექცეს სამელიორაციო-საირიგაციო მუშაობას და მოსახლეობის გადასახლების საქმის მოწესრიგებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც აქვს სასოფლო-სამეურნეო კრედიტს გლეხის მეურნეობის საწარმოო ძალების უზრუნველყოფის საქმეში, გადაჭრით მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გაძლიერებას და გაჯანსაღებას იმ მხრივ, რომ კრედიტი უმთავრესად ეძლეოდეს ღარიბ გლეხობას. ამასთან ერთად ყრილობა ხაზს უსვამს აგრონომიული დახმარების საქმის გაფართოების აუცილებლობას; უწინარეს ყოვლისა უნდა იქნეს გაძლიერებული კავშირი ცენტრსა, სამაზრო აგრონომიულ ძალებსა და სოფლის მოსახლეობას შორის.

2. ყრილობა საცემბით ადასტურებს მთავრობის მიერ აღებულ ხაზს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციის საქმეში, რაც ჩვენი სახალხო მეურნეობის აღორძინების მტკიცე საფუძველს წარმოადგენს. ყრილობა ავალებს მთავრობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს უკვე დაწყებული ქარხანა-ფაბრიკებისა და ჰიდრო-ელსადგურების დამთავრების საქმეს და ამასთანავე მიიღოს ყოველგვარი ზომა, რათა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მომზადდეს ნიადაგი მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის.

რადგანაც ადგილობრივი საშემოსავლო წყაროების გაძლიერება მთავარი საწინდარია ადგილობრივი ხელისუფლების შემოქმედებითი მუშაობის უზრუნველსაყოფად, ამიტომ ყრილობა საჭიროდ სთვლის, რათა ხელისუფლებამ მიიღოს ზომები ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობის განვითარებისათვის, რისთვისაც სამრეწველო საწარმოთა მოწყობა ყოველ ცალკე შემთხვევაში ადგილობრივ საწარმოო ძალთა და ნედლი მასალის ხასიათსა და მარაგს უნდა დაუკავშირდეს.

აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ მრეწველობის პროდუქციის ფასების შემცირებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და, რაც უმთავრესია, ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცების საქმეში, ყრილობას საჭიროდ მიიჩნია გაუმჯობესებულ იქნეს მრეწველობის ფინანსური და ტექნიკური ბაზა, რაც გააძლიერებს შრომის ნაყოფიერებას და შესაძლებლად გახდის სამრეწველო პროდუქციის ფასების კიდევ მეტად შემცირებას.

ყრილობა აღიარებს, რომ ქალაქის მრეწველობის და საზოგადოთ მძიმე ინდუსტრიის განვითარების უზრუნველსაყოფად საჭიროა სათანადო კვალიფიკაციის მუშებისა და მომზადებული სპეციალისტების კადრის შექმნა, რისთვისაც მთავრობას ევალება მიიღოს სათანადო ზომები. ინდუსტრიალიზაციასთან ერთად საჭიროა ხელისუფლებამ ყოველი ზომა მიიღოს მუშათა ბინების აღმშენებლობის საქმის მოსაგვარებლად და გასაძლიერებლად.

აღნიშნავს რა დიდ მიღწევებს მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხში, ყრილობა საჭიროდ სთვლის მიექცეს უმთავრესი ყურადღება ახლო მომავალში უმუშევრობასთან ბრძოლას, რისთვისაც ევალება მთავრობას გამოიმუშაოს შესაფერი პრაქტიკული ღონისძიებანი.

3. ყრილობა საჭიროდ სცნობს მიღებულ იქნეს შესაფერისი ზომები სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის აპარატების გაჯანსაღებისა და გაძლიერებისათვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ვაჭრობაში ზედნადები ხარჯებისა და საქონლის ფასების შემცირებას. ამასთანავე უპირველეს ყოვლისა საჭიროა კოოპერაციისათვის საბანკო კრედიტების გადიდება და გრძელვადიანი სესხის გამონახვა.

4. ყრილობა ითვალისწინებს რა გზების უაღრეს მნიშვნელობას ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის და იღებს რა მხედველობაში საქართველოს მდებარეობის მთავორიან ხასიათს და იმ უგზოობას, რასაც განსაკუთრებით ადგილი აქვს ჩვენი ქვეყნის ყველა ნაწილებში, რაც მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებს ადგილობრივ მოსახლეობას, ავალებს მთავრობას მიიღოს განსაკუთრებული ზომები ჩვენი გზატკეცილებისა, შარავზებისა და ხიდების შესაკეთებლად და აგრეთვე ახალი გზების გასაყვანად. ამასთანავე ყრილობა საჭიროდ სთვლის, რათა ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად ჩაეხმოს საგზაო აღმშენებლობის საქმეში. ყრილობა ავალებს მთავრობას მიიღოს შესაფერი ზომები შავი ზღვის რკინის-გზის სააღმშენებლო მუშაობის განგრძობისა და გაძლიერებისათვის და საპორტო აღმშენებლობის საქმის გაფართოებისათვის.

5. რადგანაც ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა და დამტკიცება თითქმის ყოველთვის იგვიანებს, რაც არა სასურველ მდგომარეობაში აყენებს ჩვენს დაწესებულებათ, ხოლო კერძოთ კი ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების დაგვიანება ხელს უშლის სამაზრო და სათემო ორგანოების ნორმალურ მუშაობას, ყრილობა ავალებს მთავრობას მიიღოს შესაფერი ზომები ბიუჯეტის დროზე შედგენისა და დამტკიცებისათვის.

ამასთანავე, რადგანაც ბიუჯეტის უდენფიციტო შესრულება შესაძლებელია მხოლოდ სავადასახადო აპარატის გაუმჯობესებით, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა სავადასახადო აპარატი რაც შეიძლება გაჯანსაღებულ იქნეს.

6. ყრილობა აღნიშნავს რა საბჭოთა ხელისუფლების მიღწევებს სახალხო განათლების საქმეში, საჭიროდ სთვლის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებას. კერძოდ მიღებულ უნდა იქნეს ზომები განათლების საქმის რეორგანიზაციისათვის იმ მხრით, რომ ყველა საფეხურის სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამა სავსებით შეეფერებოდეს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო პირობებს და იმ ახალ მოთხოვნილებებს, რასაც ჩვენს წინაშე ინდუსტრიის განვითარების ამოცანები აყენებს.

ყრილობა იღებს რა მხედველობაში, როგორც მწერლობის, ისე, საზოგადოთ, ხელოვნების სხვა დარგების მუშაკთა ჩაბმას საბჭოთა მშენებლობაში, საჭიროდ სთვლის ყოველმხრივ ხელი შეუწყოს როგორც მწერლობის, ისე ხელოვნების ყველა დარგის გაცხოველებულ მუშაობას, ახალი სოციალისტური კულტურის საფუძვლებზე.

7. ითვალისწინებს რა რეალურ მიღწევებს სახალხო ჯანმრთელობის საქ-

მეში, ყრილობა ავალებს მთავრობას მიიღოს ზომები, რათა პროვინცია უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო სამკურნალო პერსონალით. ამასთანავე ყრილობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთავრობის უპირველეს ამოცანას ჯანმრთელობის სფეროში მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოადგენდეს და ამ მხრივ საჭიროდ სთვლის სასწრაფო, დაკვრითი ხასიათის ღონისძიებათა განხორციელებას, კერძოდ—მალარიასთან ბრძოლის საწარმოებლად საჭირო სახსრების გადიდებას.

8. ყრილობა აღიარებს რა საბჭოთა სახელმწიფოს საერთო განმტკიცებას, აღნიშნავს აგრეთვე რევოლუციონური კანონიერების თანდათან გაძლიერებას, რაც აუცილებელი პირობაა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის და მშრომელთა მასის პოლიტიკური და კულტურული წარმატებისათვის, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ რევოლუციონური კანონიერება საესებით დამაკმაყოფილებლად არ არის ჯერ გატარებული, რის გამოც ყრილობა, ავალებს მთავრობას მიიღოს ყოველგვარი ზომები, რევოლუციონური კანონიერების უფრო მტკიცედ განხორციელებისათვის. ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლო ორგანოებისა და მმართველობის ძირითადი აპარატის გამოცოცხლებას და გაჯანსაღებას. მთავრობამ უნდა შეიმუშავოს პრაქტიკული ზომები სახელმწიფო აპარატის გამარტივებისა და გაუმჯობესებისა-ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად.

9. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი მტკიცედ აღგია მშვიდობიანობისა და გარეშე სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური განწყობილების დამყარების პოლიტიკას, იმპერიალისტური სახელმწიფონი დღესაც, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-10 წელიწადს, იარაღს ისხამენ და ჩვენს მშვიდობიან შრომას ემუქრებიან. ამ სახელმწიფოთა მტრული განწყობილება ჩვენდამი განსაკუთრებით აქტიური გახდა ამ ბოლო დროს. ჩვენ თვალწინ ხდება მრავალნაირი ცდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტის შექმნისა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ.

ყრილობა აღნიშნავს, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კვლავ განაგრძოს გზა ყველა სახელმწიფოსთან სწორი ურთიერთობის დამყარებისათვის და საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფისათვის, ხოლო ამასთანავე, იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი იმპერიალისტური სახელმწიფო ნაცვლად მშვიდობიანობის დამყარების სურვილისა დღითი დღე მეტ მტრობას იჩენს ჩვენდამი, რის ნიშნებიც ამ ჟამად მრავლად გვაქვს,—ყრილობა ავალებს მთავრობას ხელი შეუწყოს ჩვენი წითელი არმიის კიდევ მეტად გაძლიერებას, რადგანაც მშვიდობიანობის ნამდვილ გარანტიას ძლიერი და ყოველმხრივ მომზადებული მუშათა და გლეხთა წითელი არმია წარმოადგენს.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე 75 №-ში 1927 წ. აპრილის 5.

62. რეზოლუცია

ს. მ. უ. ს-ის მოხსენების გამო.

1. მოისმინა რა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება საქართველოს მრეწველობის მდგომარეობის და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ, სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა აღნიშნავს მნიშვნელოვან მიღწევებს როგორც მრეწველობის აღდგენის დარგში, ისე ახალ სამრეწველო მშენებლობაშიც, რომელიც წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად პრობლემას.

2) იმ უმნიშვნელო ხვედრითი წონასთან ერთად, რომელიც აქვს მრეწველობას საქართველოს სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში, საჭიროა აღინიშნოს მრეწველობის აღდგენისა და განვითარების სწრაფი ტემპი, სასოფლო მეურნეობის ამაღლების ტემპთან შედარებით.

3. მრეწველობის განვითარებისა და ზრდასთან ერთად მიმდინარეობდა მუშათა კლასის მეტერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. შრომის ნაყოფიერებასა და, მასთან პარალელურად, სამუშაო ხელფასისა და საბინაო მშენებლობის ზრდა წარმოადგენენ მუშათა მასების მატერიალური პირობების გაუმჯობესების ძირითად ფაქტორებს.

4. სამეურნეო მშენებლობის საკითხები კვლავ უნდა დარჩენ ჩვენი ყურადღების ცენტრში, ვინაიდან ფართე სამრეწველო მშენებლობის გარეშე შეუძლებელია მთელი სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილი მსვლელობა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და მაღალ ტექნიკურ ბაზარზე ჩვენი მრეწველობის დაფუძნების პრობლემა, პრობლემა სოციალისტური რაციონალიზაციისა—უნდა იყოს ხელმძღვანელი დირექტივა და ჩვენი სამეურნეო მშენებლობის უმთავრესი ამოცანა. ჩვენს მშენებლობაში ზოგიერთ შეცდომების განმეორებისაგან თავის აცილების მიზნით—საჭიროა ზედმიწევნით დაწვრილებით წინასწარ დამუშავებულ იქნას ახალ წარმოებათა გეგმები და პროექტები როგორც ეკონომიური, ისე ტექნიკური მხრივ. ყველა ამას გარდა, ახალი სამრეწველო მშენებლობა და, საერთოდ, ინდუსტრიალიზაციის პრაქტიკული განხორციელება მოითხოვენ პარალელურ მუშაობას საგზატკეცილო და სარკინისგზო მშენებლობის გაძლიერებასა და გაფართოებაზე, რასაც უნდა მიეცეს უაღრესად სერიოზული ყურადღება.

5. ითვალისწინებს რა ჩვენი მრეწველობის საკუთარი თანხების სიმცირეს, რაც არ იძლევა საშუალებას თანხების საკმაოდ დაბანდებისას კაპიტალურ სამუშაოებში, ყრილობა ადასტურებს, რომ შემდეგშიც საქართველოს სამრეწველო მშენებლობა უმეტეს წილად უნდა იკვებებოდეს საერთო საკავშირო ბიუჯეტიდან.

6. საჭიროა მთელი ენერგიით გაგრძელდეს დაწყებული მუშაობა სამრეწველო ფასების დაკლებაზე, რისთვისაც წარმოებულ იქნას დაუნდობელი ბრძოლა ზედნადებ ხარჯების დაკლებისათვის, აჩქარებულ იქნას თანხების ბრუნვა, ხელი

შეეწყოს სამრეწველო მეურნეობის მთელი სისტემის გაუმჯობესებას და გაიაფებას და, საერთოდ, თვალყური უნდა ედევნოს სასტიკ მომჭირნეობის რეჟიმის სისტემატიურ გატარებას.

7. ახალ სამრეწველო მშენებლობის დარგში, არსებული მრეწველობის გაძლიერებისა და განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მძიმე ინდუსტრიის (სათბობი მასალის მრეწველობა და მეტალურგია) დანერგვას და მის განვითარებას. კერძოდ, ყრილობა საჭიროდ სთვლის მიღებულ იქნას ყველა ზომები რაც შეიძლება მოკლე ხანში პრაქტიკულად იქნას განხორციელებული აფხაზეთში ტყვარჩელის ნახშირის მადნების დამუშავების პროექტი, რისთვისაც, კერძოდ, გადაუდებელ საჭიროებად ჩაითვალოს უახლოეს წლებში შავი ზღვის რკინის გზის გაყვანა, უკიდურეს შემთხვევაში ქალაქ ოჩემირამდე მინც.

აძლევს რა უდიდეს მნიშვნელობას ბაქო-ბათუმის ნავთსადენის აგებას და ნავთის გადამხდელ ქარხნების აშენებას ბათომში, ყრილობა საჭიროდ სთვლის ყოველგვარი დახმარების აღმოჩანას ამ საქმისათვის.

საქართველოს უხვ ბუნებრივ სიმდიდრეების გამოსაყენებლად და სამთო-საქარხნო მრეწველობის განსავითარებლად—საჭიროა გაფართოვდეს და დაჩქარდეს გეოლოგიურ-საგამოკვლევო სამუშაო პროგრამის გატარება.

8. ამასთან ერთად ჩვენი ყურადღება უნდა მიექცეს დამუშავებულ მრეწველობის შემდეგ განვითარებას და ახალ წარმოებების აგებას, რომლებიც უზრუნველყოფილ უნდა იქნან ნედლეული მასალით (თამბაქოს, აბრეშუმის, ჩაის, ხის დამუშავების, ტყავის, კვების, საალმშენებლო და სხვ. მასალით). კერძოდ ყრილობა საჭიროდ თვლის პოლიგრაფიული მრეწველობის რეორგანიზაციის დაჩქარებას, ერთ ორგანოს ხელში მსხვილ წარმოებათა თავმოყრის მიზნით.

სერიოზული ყურადღება მიექცეს სპირტ-კონიაკის წარმოებათა დაქსაქსულ მდგომარეობას, დაუყოვნებლივი ზომების მისაღებად მათი გაერთიანებისათვის ერთ სამეურნეო ორგანოში და მრეწველობის ამ დარგის შემდეგი გაძლიერებისათვის, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობაში, კერძოდ, მევენახეობისათვის.

საქართველოს ტყეების რაციონალური ექსპლოატაციის მიზნით და ტყის დამუშავების ისე დაყენებისათვის, რომ ის მომგებიანი გახდეს, საჭიროდ ჩაითვალოს სათანადო ღონისძიებების გატარება სატრანსპორტო საშუალებათა (ტყის საზიდი გზები, ტყის დასაცურებელი საშუალებები) მშენებლობაზე, რაც გააადვილებს, გააუმჯობესებს და გააიაფებს ტყეების ექსპლოატაციას.

აძლევს რა უდიდეს მნიშვნელობას სატყეო მრეწველობის განვითარებას საქართველოში, ყრილობა აღნიშნავს სატყეო ტრესტის უზრუნველყოფის სისუსტეს საბრუნავი საშუალებებით, და საჭიროდ სთვლის მის გაძლიერებას სათანადო თანხებით ნორმალური პირობების შესაქმნელად ტრესტის მუშაობისათვის.

ყრილობა, აგრეთვე, საჭიროდ სთვლის შეუდგეს აფხაზეთში ბზიბის ტყის დეტალურ შესწავლას, შემდეგი დამუშავების პრაქტიკული გეგმის შედგენის მიზნით.

სააბრეშუმო მრეწველობაში საჭიროა აღებულ იქნას კურსი ახალ რაიონების ჩაბმაზე აბრეშუმის ჭიის გაშენების კულტურაში და აბრეშუმის დამამუშავებელ წარმოებების შემდეგ მშენებლობაზე.

9. გაძლიერებული ტემპით გაგრძელდეს დაწყებული მუშაობა ადგილობრივი მნიშვნელობის წარმოებათა დანერგვაზე.

ამასთან ერთად, აღნიშნავს რა შინა-სამრეწველო ხელოსნური წარმოების უდიდეს მნიშვნელობას საქართველოს ეკონომიკაში, ყრილობა საჭიროდ სთვლის გეგმიან ხელის შეწყობას მისი განვითარებისათვის, განმტკიცებისათვის და კოოპერატიულ საფუძვლებზე განსაკუთრებით იმ დარგების მოწყობისათვის, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ბრძოლაში უსაქონლობასთან, ამისათვის მოკარბებული მუშა-ხელის გამოყენებით.

10. ცალკე აღნიშნავს რა უდავო მიღწევებს ელექტროფიკაციის დარგში, ყრილობა საჭიროდ სთვლის შემდეგშიც გაძლიერებულ მუშაობის წარმოებას ჰიდრო-ელექტრო საელმწივებლო პროგრამის ფართოდ გამლისათვის, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, საერთოდ, მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისა. მუშაობის დასრულების შემდეგ აჭარის წყალისა და აბაშის ჰიდროსადგურების მშენებლობაზე, — ყრილობა საჭიროდ სთვლის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას რიონისა და გუმისტანის (აფხაზეთი) ჰიდროსადგურების მშენებლობაზე.

11. მრეწველობის გაფართოება და ინდუსტრიალიზაციის პრაქტიკული განხორციელება აყენებს მოთხოვნილებას მცოდნე მუშა ხელზე. რადგან ეს მოთხოვნილება ვერ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას არსებული კადრების ხარჯზე, ყრილობა საჭიროდ თვლის სასწრაფოდ გადაწყვეტილ იქნას საჭირო კვალიფიკაციის მუშა-ხელის მასიური მომზადების საკითხი, როგორც შვირდების მომზადების ხარჯზე, ისე მოზრდილ მუშების გადაზადების ხარჯზე და ც. აღნიშნავს რა ამ დარგში ერთგვარ უთანხმოებას განათლების სახ. კომისარიატსა და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შორის, ყრილობა საჭიროდ სთვლის, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოზე უზრუნველყოფილ იქნას უფრო ახლო და უშუალო მონაწილეობა კვალიფიციური ძალის მომზადების საქმეში.

ამასთან ერთად, აღნიშნავს რა მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერ-ტექნიკური ძალების ნაკლებობას, ყრილობა საჭიროდ სთვლის სერიოზული ყურადღების მიქცევას სათანადო კადრების მომზადება-გადაზადებისათვის და ზომების მიღებას როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის ტექნიკურ-ორგანიზაციული მიღწევების მაქსიმალური გამოყენებისათვის (ტექნიკური განათლების გაუმჯობესება, უცხოეთის ტექნიკური ჟურნალებით მომარაგება, მივლინება მსხვილ მშენებლობაზე საზღვარგარეთ და საბჭოთა კავშირში და სხ.).

12. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს მუშების მატერიალური მდგომარეობის (სამუშაო ხელფასი, საბინაო მშენებლობა, შრომის დაცვა და სხ.) შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. სამუშაო ხელფასის შემდეგი ზრდა შესაძლებელია მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და საერთოდ ჩვენი მეურნეობის ყოველმხრივ ამაღლების საფუძველზე. მუშაობაში შრომის ნაყოფიერების

შემდგომ ზრდაზე, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკის გაუმჯობესებას და წარმოების ორგანიზაციას.

13. აღნიშნავს რა მუშების საბინაო კრიზისს, რომელსაც შეუძლია რამოდენიმედ შეაფერხოს ჩვენი სამრეწველო მშენებლობა, ყრილობა საჭიროდ სთვლის ზომების მიღებას იმისათვის, რომ ბინების საქმით რაოდენობით თავის დროზე უზრუნველყოფილ იქნან არა მარტო ის წარმოებები, რომლებიც ახლად შენდებიან, არამედ არსებული წარმოებებიც. ამასთან ერთად საჭიროა თვალყურის დევნება იმაზე, რომ ახალ ფაბრიკა-ქარხნების აშენების დროს სასტიკად დაცულ და გატარებულ იქნას ცხოვრებაში შრომის დაცვისა და სანიტარულ-ტექნიკური ზედამხედველობის წესები.

14. სახელმწიფო მრეწველობის წინაშე მდგარი ამოცანები ვერ განხორციელდება მუშათა ფართე მასების აქტიური მონაწილეობის გარეშე. ამასთან დაკავშირებით საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს საწარმოო თათბირების მუშაობას, პრემიალური ჯილდოს ფართედ გამოყენებით ყოველგვარ საქმიან, კონკრეტულად დამუშავებულ და პრაქტიკულად განხორციელებულ წინადადებებზე, ამასთან ერთად ყოველმხრივი დახმარების გაწევით მუშათა გამომგონებლობისათვის.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე 75 №-ში 1927 წ. აპრილის 5.

63 რეზოლუცია მოხსენებისა გამო

„საქართველოში სასოფლო მეურნეობის განვითარების გზები“

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეოთხე ყრილობა აღნიშნავს:

1. სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესი როგორც მთლად კავშირში, ისე კერძოდ საქართველოს რესპუბლიკაში უკვე დამთავრებულია და ჩვენ გადავდივართ სახალხო მეურნეობის განვითარების ახალ ხანაში. აღდგენის პროცესის დამთავრება იმას ნიშნავს, რომ როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის წარმოება მთლიანად და საერთოდ უკვე გაუსწორდა ომამდე არსებულ დონეს (ზოგიერთ დარგში გადააჭარბა კიდევ, ხოლო ზოგში იგი ჯერ კიდევ რამდენადმე ნაკლებია).

ამის გამო პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე დადგა საკითხი მთლად სსრ კავშირის მეურნეობის რეკონსტრუქციის შესახებ.

პირველ რიგში სდგას პრობლემა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა, რომლის განხორციელებასაც ჯერ კიდევ 1925/26 სამეურნეო წელში შეუდექით.

რადგანაც თითქმის მთელი ჩვენი მრეწველობა და ტრანსპორტი უკვე ნაციონალიზაციაქმნილია და სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს, ამის გამო ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის სოციალისტურ ნიადაგზე რეკონსტრუქციის საქმე თვალსაჩინოდ გაადვილებულია.

ხოლო სასოფლო მეურნეობის დარგში, სადაც ჯერ კიდევ დიდი ადგილი უჭირავს ინდივიდუალურ მეურნეობას, ან სადაც წინ გველობება მეტის მეტად

დაქუცმაცებული საგლეხო მეურნეობა, — სოფლის მეურნეობის სოციალისტური მიმართულებით განვითარება რთულ და ძნელ საქმეს შეადგენს.

2. ჩვენი კავშირის ინდუსტრიალიზაციასთან ერთად აღიძვრის აგრეთვე სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და ინდუსტრიალიზაციის საკითხი.

სოფლის მეურნეობა მთლად ჩვენი სახალხო მეურნეობის ბაზას წარმოადგენს. უპირველესად ყოვლისა იგი ნედლეულობის ბაზა მრეწველობისათვის და ქალაქის მოსახლეობის სასურსათო წყარო, მეორე — იგი იძლევა უმთავრეს და ძირითად ობიექტებს ჩვენი ექსპორტისათვის.

3. 1926 სასოფლო-სამეურნეო წელს სოფლის მეურნეობაში ხორბლეული კულტურის პროდუქციამ მიახწია ომამდე არსებულ დონეს.

ხოლო ტექნიკური კულტურები გვიხატავენ შემდეგ სურათს:

მებაშვებობა: 1924 წელს ბაშბის ნათესი უდრიდა 7.954 დეს. იმპერიალისტური ომისა და რევოლუციის დროს ბაშბის კულტურა თითქმის საგსებით მოისპო საქართველოში. მებაშვებობის აღდგენა დაიწყო მხოლოდ 1923 წლიდან.

მეთამბაქოობა: თამბაქოს კულტურის პლანტაციების სივრცემ უკვე გადააქარბა ომამდე არსებულ დონეს.

ჩაი: ჩაის პლანტაციების სივრცემ თვალსაჩინოდ იმატა. 1926 წელს იგი უდრიდა 1.155 დეს., ე. ი. 465 დეს. ან 68% — თ აღემატება ომამდე არსებულ სივრცეს. ასეთი გიდიდება 2-3 წლის განმავლობაში მოხდა.

მევენახეობა: ვენახების საერთო სივრცის შემცირება, რამაც უკანასკნელ წლებში იჩინა თავი, უკვე შეჩერებულია და მოსალოდნელია ამის საწინააღმდეგო პროცესი, ე. ი. თანდათან ზრდა.

მებაღეობა და მებოსტნეობა: 1926 წელს ბაღების სივრცემ უკვე გადააქარბა ომამდე არსებულ დონეს 46,8% — თ; სამაგიეროდ — მებოსტნეობის სივრცემ იკლო. 1923 წელს მთლად ბოსტნების სივრცე 6.500 დეს. უდრიდა, ხოლო 1926 წელს — 3.800 დეს., ე. ი. შემცირდა 2.700 დესეტინით, ან 41,5% — თ. საერთოდ საქართველოში ხილის ბაღების სივრცე შეიძლება გადიდებულ იქნეს 60.000 დესეტინამდე, და ბოსტნეულობის — 25.000 დეს. — მდე, სხვა ძვირფას ტექნიკურ კულტურებ შორის, რაც შეიძლება თვალსაჩინოთ განვითარდეს ჩვენს ში, დასახელებულ უნდა იქნეს მანდარინა, ბამბუკი, დაფნა, კანაფი და, განსაკუთრებით, სამკურნალო მცენარეები, და ამ საქმეს უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ამრიგად სასოფლო მეურნეობის ძვირფასი ტექნიკური კულტურის მცენარეები, რაც იმპერიალისტური ომის დროს, აგრეთვე მენშევიკების ბატონობის დროს სრულიად დაეცა, ხოლო ნაწილი კი სრულიად მოისპო, საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელ ხანებში ნაწილობრივად უკვე აღდგენილია ომამდე არსებულ ნორმამდე, ნაწილობრივ — უახლოვდება ამ ნორმას.

ძვირფას ტექნიკურ კულტურას უნდა მივაკუთნოთ მებაზრავურობაც, რაც უკანასკნელ დროს საკმაო ჩქარის ტემპით ვითარდება.

დამზადებული ნედლი პარკის რაოდენობა უკვე სჭარბობს ომამდე არსებულ ნორმას 25% — თ; ამასთანავე აბრეშუმის თესლის საქმე უკანასკნელ წლებში

პში ვითარდება ჩქარის ტემპით. საერთოდ მეაბრაშუმეობას და მასთან დაკავშირებულს აბრეშუმის ხევისა, გრეხისა და ქსოვის საქმეს აქვს დიდი მომავალი და იგი ერთი უმთავრესი დამხმარე საშუალება იქნება საქართველოს გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის წარმატებისათვის.

მესაქონლეობა: იმპერიალისტური ომისა და შემდეგ მენშევიკების ბატონობის დროს მესაქონლეობა თანდათან მცირდებოდა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მან კვლავ იწყო განვითარება და ამჟამად იგი რამდენიმედ ომამდე არსებულ ნორმას აღემატება; მაგ., 1925-6 წელს საქართველოში რქოსანი საქონელი 1913 წელთან შედარებით 3%-ით და ღორი—16, 7%-მეტით იყო. 1925 წლის დამლევს სხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი სულ—3.522.800 სული ითვლებოდა.

უკანასკნელ დროს ძლიერ იზრდება საერთო რიცხვი შინაური ფრინველებისა.

5. სასოფლო მეურნეობის განვითარების ცნობების ანალიზიდან ის დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ, რომ განვითარების ტემპი უმაღლესი ტენიკური და მებოსტნეობის კულტურებისა, მათ შორის მეაბრაშუმეობისაც (მევენახეობის გარდა), აგრეთვე მესაქონლეობისა, მეფრინველობისა და მეფუტკრეობის უფრო ძლიერია, ვიდრე ხორბლეულობის კულტურის ტემპის განვითარება.

ეს საერთო მოვლენა—განსაკუთრებით—კი საქართველოში,—ამიტომ მკიდროდ დასახლებულ მცირე მიწიან რაიონების განტვირთვისა და აგრეთვე სარწყავი მიწების გამოყენების მიზნით—მოწყობილ უნდა იქნეს გადასახლება ახალ სარწყავ მიწებზე და მოწესრიგებული იქნეს რესპუბლიკის ფარგლების გარეშე გადასახლების საკითხი.

ამრიგად, აგრარული რევოლუციის განხორციელების შემდეგ,—რომლის მეოხებითაც მიწები გლეხებს გადაეცათ,—ჩვენ განსახორციელებელი გვაქვს მეორე რევოლუცია—აგროკულტურული ღონისძიების სფეროში, რაც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საქმეს, ე. ი. სათესი სივრცის გაუფართოებლად შესაძლებელი იქნება მოსავლის გადიდება და პროდუქციის თვისების გაუმჯობესება. სხვა გზა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაფართოებისა და გადიდებისათვის ამ ჟამად არ არსებობს, ხოლო სასოფლო-მეურნეობის პროდუქციის ახლანდელი ნორმა ჩვენ არ გვაკმაყოფილებს, რადგანაც იგი უფრო შიმშილობის ნორმაა.

რათა უფრო თვალსაჩინოთ აღვნიშნოთ მნიშვნელობა და გადაუდებლობა აგროკულტურულ ღონისძიებათა განხორციელებისა სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის, უნდა ვთქვათ, რომ ნაკლებად საიმედოა ამ 3-4 წლის ცოტათ თუ ბევრად გადიდება ნათესი სივრცისა მელიორაციის საშუალებით (მორწყვა და ამოშრობა). ყოველ შემთხვევაში, უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ შეგვიძლია სათესი მიწების სივრცე მელიორაციის საშუალებით 80-100 ათას დეს.-მდე გავაძლიოთ. რასაკვირველია, ასეთი გადიდება სათესი მიწების სივრცისა, აგროკულტურულ ღონისძიებათა განუხორციელებლად საქმით ეფექტურ მოახდენს.

6. ამრიგად, შემდეგში სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში, ე. ი. ზრდა სასოფლო მეურნეობის წარმოებისა, შესაძლებელია არა ექსტენსიური მეურნეობის ფარგლებში, არამედ უმთავრესად ინტენსიური მეურნეობის შემოღებით. ამ უმად სერიოზულად სდგას მიწადმოქმედების მექანიზაციისა, მანქანიზაციისა და ტრაქტორიზაციის საკითხი.

მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ვიდრე ბაზარზე გამოიტანებოდეს და მომხმარებელამდე მიალწევდეს, გაივლის ხოლმე რამდენსამე სტადიას და აქ ჩვენ ვხედავთ, რომ პირველ სტადიაში რომელიმე პროდუქტის მექანიკურად ან მანქანით დამუშავება მეტად ძნელდება ან და მას წინ ტექნიკური დაბრკოლებები ეღობება, სამაგიეროდ, ამა თუ იმ საგნის შემდეგ გადაშუშავებაში უკვე არავითარი ტექნიკური სიძნელე აღარ არსებობს მანქანების გამოყენებისათვის, პირიქით სოფლის მეურნეობის ნაწარმოების მექანიზაციისა და მანქანის საშუალებით დამუშავება გაცილებით უფრო ადვილად სწარმოებს (ჩაი, აბრეშუმის პარკი და სხვ.).

7. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხთან დაკავშირებით ჩვენთვის პირველხარისხიან და დაუყოვნებელ ამოცანას შეადგენს სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია. განსაკუთრებით ეს აუცილებელია საქართველოში, სადაც ჩვენ ვხვდებით დიდ სხვადასხვაობას უმაღლესი ტექნიკური კულტურებისას; ნაწილობრივი ან სრული ვადამუშავება მიღებული პროდუქტებისა დიდად წასწევდა წინ სოფლის მეურნეობის განვითარებას, მის ინტენსიფიკაციას და რაციონალურ დაყენებას.

8. სამრეწველო საქონლის ფასების შემცირებასთან და საფაბრიკო საქარხნო ნაწარმოებთა თვითღირებულების გაიფხვებასთან ერთად ჩვენს წინაშე სდგას სიკითხი სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გაიფხვებისა, რადგანაც ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ფასი იმდენად დიდია, რომ მისი ექსპორტი საზღვარგარეთ პირდაპირ საზარალო ხდება.

9. მელიორაციის დარგში ცოტად თუ ბევრად საგრძნობი შედეგები ჩვენ არ გვაქვს. ამავე დროს საქართველოსათვის მელიორაციის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სათესი მიწების სივრცის გადიდებისა და მოსავლის გაუმჯობესების სფეროში; ამის გამო აუცილებელი საჭიროებაა, რომ საქართველოს წყალთა სამმართველოს მუშაობა წარმოებდეს შემუშავებული გეგმის თანახმად, რაც შეთანხმებული უნდა იქნეს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ორგანოებთან.

საგზაო მშენებლობა.

10. გზატკეცილებსა და შარავზებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. უნდა აღინიშნოს, გეგმიანობა და შეთანხმებითი მუშაობა ამ საქმეში ჯერ არ მოგვეპოება. ამის გამო ხშირად გაუგებრობასაც აქვს ადგილი. უპირველეს ამოცანად უნდა იქნეს აღიარებული გეგმიანობის და ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით მუშაობის წარმოება ამ დარგში. წინააღმდეგ შე-

მთხვევაში საგზაო მშენებლობა ვერ დააღწევს თავს იმ ქაოსს, რომელშიაც იგი დღემდეა.

11. ასეთია გზები და მეთოდები სოფლის მეურნეობის განვითარებისა ჩვენში. ახლა, როგორია ის საორგანიზაციო ფორმები, რომლებითაც ჩამოყალიბდება ეს განვითარება.

სოფლად ამ ჟამად ჩვენ გვაქვს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სამი ძირითადი ფორმა, სახელდობრ:

ა) ინდივიდუალური, ერთი მეორისაგან განცალკევებული საგლეხო მეურნეობა;

ბ) საბჭოთა მეურნეობა და

გ) კოლექტიური მეურნეობა (კომუნა, ამხანაგობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, არტელი და სხვ.).

საქართველოში ამჟამად სოფლის მეურნეობის ფორმებთა შორის უფრო მეტია ინდივიდუალური საგლეხო მეურნეობა. საგლეხო მეურნეობათა საერთო რიცხვიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში გაერთიანებულია დაახლოებით 32.000 მეურნეობა, ე. ი. დაახლოებით მთელი რიცხვის 9%. საგლეხო მეურნეობანი საქართველოში განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში, ეკუთვნიან საერთოდ მცირე შეძლებისა, ღარიბ მეურნეობათა კატეგორიას. როგორც უკანასკნელ წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ცნობებიდან სჩანს, შეძლებული მეურნეობანი მთლად საქართველოში დაახლოებით 8-9%—ია საგლეხო მეურნეობათა საერთო რიცხვიდან. მათ შორის კულაკთა მეურნეობა შეადგენს 1-2%-ს.

ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების ძირითად ამოცანას უნდა შეადგენდეს ფინანსური დახმარება გაეწიოს ღარიბ მეურნეობებს, რისთვისაც საჭიროა:

ა) მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება გრძელვადიან სესხის მიცემას სოფლის მეურნეობისათვის, როგორც საკავშირო, ფედერატიული და რესპუბლიკანური, ისე ადგილობრივი ბიუჯეტის ხაზით.

ბ) სესხის ვაცემის ვადები შეფარდებულ იქნეს წარმოების პირობებთან და

გ) მიღებულ იქნას ღონისძიებანი გლეხთა შემნახველი კოოპერაციების, გაძლიერებისათვის.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. რის შესახებაც ზევით იყო ნათქვამი, ყველა სხვაგვარი კოლექტიური მეურნეობა მხოლოდ ჩანასახის მსგავსია.

რათა საბჭოთა მეურნეობანი მსხვილ კულტურულ სასოფლო-მეურნეობის მავალითს წარმოადგენდენ, სახელმწიფო სოციალისტურ წარმოების როლს თამაშობდენ სოფლად და სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისათვის სათანადო ღონისძიებებს განახორციელებდენ, მათ უნდა გააძლიერონ თავიანთი ყურადღება აგრიკულტურულ სფეროში და მიაქციონ იგი სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციას—სათესლე, სარგავი, საჯიშე მასალის შექმნით და აგრეთვე მიწის დამუშავებისა და გამოყენების უფრო მაღალი ტექნიკური ფორმების გავრცელებით; ამასთანავე, მთლად ეს მუშაობა დაკავშირებული უნდა იქნეს აგრო-

ნომიული ღონისძიებათა გეგმასთან. აგრეთვე საჭიროა საბჭოთა მეურნეობამ გააძლიეროს მრეწველობის ცალკე დარგების დახმარება, ნედლი მასალის წარმოება და ნაწარმოების სასაქონლო თვისების ზრდა, რისთვისაც რაციონალურად გამოყენებულ უნდა იქნეს საბჭოთა მეურნეობის ტექნიკური ღონისძიებანი და გაელენა სასოფლო მეურნეობის სფეროში.

ამ მიზნისათვის საჭიროა საბჭოთა მეურნეობის საწარმოო გეგმები დაკავშირებულ იქნეს მრეწველობის ერთეულებთან, გაძლიერებულ იქნეს საბჭოთა მეურნეობისათვის კრედიტების მიცემის საქმე, რათა მან განახორციელოს დაკისრებული მიზნები, განთავისუფლებული იქნეს იგი საიჯარო სასყიდლისაგან და სხვ.

თუმცა აღსანიშნავია მეტად სუსტი და არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა საბჭოთა კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის საქმისა საქართველოში, მაგრამ ამასთანავე ისიც ცხადია, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დროს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, რაც სოციალიზმისაკენ მიიშობება, უნდა მოხდეს კოლექტივიზაციის მეშვეობით. საბჭოთა ხელისუფლებამ გადაიწყვიტა ხაზი უნდა აიღოს ამ გზით. არის ერთად ერთი გზა ღარიბ და ნახევრად ღარიბ მეურნეობათა კეთილდღეობის წარმატებისათვის, ეს არის — მათი შეკავშირება და გაერთიანება კოლექტიური მეურნეობის მარტივ ფორმებში მაინც. ცხადია, უნდა დავიწყოთ კოლექტიური გაერთიანება სულ მარტივი ფორმებიდან, რადგანაც ასეთი ფორმები ხელმისაწვდომია გლეხებისათვის. შემდეგში გლეხობა გადავა კოლექტივიზმის უფრო მაღალ ფორმებზე.

თუ აქამდე კოლექტიურ მეურნეობას არ ქონდა ჩვენში გასავალი, ეს, უმთავრესად, იმით აიხსნება, რომ საქმეს თავითვე კოლექტიური მეურნეობის უმაღლეს ფორმებიდან ვიწყებდით, აშკარაა, სხვა მიზეზებიც იყო (კარგი ხელმძღვანელობა უყოლობა, თვით კოლექტიური მეურნეობათა ცუდი შედგენილობა და სხვ.).

ამის გამო მომავალში ყოველი შეცდომისა და ნაკლის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა გამოვიყენოთ წარსული გამოცდილება საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობათა მშენებლობისა.

ამისდამიხედვით, საქართველოს საბჭოთა მე-4 ყრილობა აღნიშნავს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების გზა სოციალისტურ მიწათმოქმედებისაკენ კოოპერაციის გეზით უნდა მიმდინარეობდეს. იგი უნდა მიმდინარეობდეს უუწვრილეს და წვრილ სასოფლო-მეურნეობათა გაერთიანების გზით მარტივ კოოპერატიულ ორგანიზაციებში, თანაც მიწის საზოგადოებრივი ძალით დამუშავებისა, სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და ტრაქტორების გამოყენებითა და მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა შექმნით.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-75 №-ში 1927 წ. აპრილის 5,

სენსრალორი აღმასრულეგვლი კომიტაჟის დადგენილეგანი.

64. დადგენილეგა № 42 ც. ა. კ. დ. ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხ. შეცვლისა და 144¹ მუხ. ამოშლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ 1924 წ. მარტის 10 თარიღითა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ, სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

1.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი 144 მუხ. შეცვლილ იქნეს შემდეგნაირად:

მუხ. 144. საექციზო წესების ან სპირტიანი სასმელების და თამბაქოს ნაწარმოების ვაჭრობისათვის შემოღებული განსაკუთრებული პატენტის წესების დარღვევა, უკეთუ ამ დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დევნა კანონით არ არის გათვალისწინებული, გამოიწვევს.

ჯარიმას ათას მანეთამდე და იძულებით მუშაობას ან თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე, თანაც აქციზ-გადაუხდელი ან ნაკლებად გადახდილი საგნის და პროდუქციის კონფისკაციას, აგრეთვე აქციზ-დადებული საგნების ფარულად გაკეთებისათვის გამოსაყენებელი ნედლი მასალისა და საწარმოო იარაღის კონფისკაციას.

II.

სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხ. ამოშლილ იქნეს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. აპრილის 5.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-90 №-ში 1927 წ. აპრილის 22.

65. დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაპრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის („სრულსაქინდამხკომი“-ს) შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ავადმყოფ და დაპრილ წითელარმიელთა დამხმარე კომიტეტის შესახებ 1924 წლის ნოემბრის 18 თარიღითა და 121 №-ით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად—დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაპრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის შესახებ.

1. ზოგადი დებულებანი.

1. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაპრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის (სრულსაქინდამხკომის) მიზანია აღნიშნულ კატეგორიათა პირთათვის დახმარების გაწევა მათი მატერიალური უზრუნველყოფისა, კულტურულ და პოლიტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების და ექიმობის საქმეში. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაპრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტი თავის მუშაობას, რამდენადაც ეს მუშაობა სათანადო სახელმწიფო ორგანოების (საქართველოს ცაკთან არსებული სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის, კავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭო) მოქმედების შემავსებელია, ამ ორგანოებთან შეთანხმებული გეგმით აწარმოებს.

2. სრულსაქინდამხკომი სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობს და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის საერთო ხელმძღვანელობით მოქმედებს.

3. სრულსაქინდამხკომი აერთიანებს და მეთაურობას უწევს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში საბჭოთა საზოგადოებრიობის მოქმედებას, რაც მიზნად ისახავს აღმოუჩინოს დახმარება ომის ინვალიდებს, ავადმყოფ და დაპრილ წითელარმიელებს და ომში დაღუპულ პირთა ოჯახებს.

4. სრულსაქინდამხკომს აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბით და სათანადო წარწერით.

2. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაპრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის მიზანი

5. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაპრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტი შეასრულებს შემდეგ საქმეს:

ა) ჩაბამს მოსახლეობის ფართო მასას და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფისა და მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში.

ბ) გაუწევს მატერიალურ და ორგანიზაციულ დახმარებას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს (საქართველოს ცაკ-თან არსებული უზრუნველყოფის განყოფილებას და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს), რომელნიც განაგებენ ზემოხსენებულ კატეგორიათა პირების უზრუნველყოფის საქმეს, ღ აგრეთვე გაუწევს ამავე პირებს ყოველგვარ უშუალო დახმარებას მიინიჭებულ უფლებების ფარგალში.

ამა პუნქტში აღნიშნული დახმარების აღმოჩენას სრულსაქინდამხკომი აწარმოებს სათანადო სახელმწიფო ორგანოებთან ცალკე შეთანხმების საფუძველზე.

გ) შეისწავლის პრაქტიკულ ღ თეორიულ საკითხებს ომის ინვალიდთა უზრუნველყოფისა და ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთათვის დახმარების აღმოჩენის სფეროში.

დ) შეასრულებს სხვა საქმეს, რაც სრულსაქინდამხკომის მიზნებს შეეფერება ღ რასაც მას დააკისრებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და მისი პრეზიდიუმი.

მ. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის უფლება-მოვალეობანი და შეღავათები.

6. სრულსაქინდამხკომს აქვს იურიდიული პირის უფლება.

7. ა) სრულსაქინდამხკომი, მისი ადგილობრივი განყოფილება და საწარმო, უკეთეს ეს უკანასკნელი თვით სრულსაქინდამხკომის მიერ არის მოწყობილი და თვითვე აწარმოებს მის ექსპლოატაციას, განთავისუფლდებიან ყველა ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღებისაგან.

ბ) საერთო სახელმწიფოებრივი და სხვა გადასახადებისა და გამოსაღების სფეროში (სრულსაქინდამხკომს) მიეცემა შეღავათი სსრკავშირის ცაკისა ღ სახკომსაბქოს 1926 წ. მარტის 5-ს დადგენილების საფუძველზე.

8. სრულსაქინდამხკომს უფლება აქვს მიიღოს ყოველგვარი შემოწირულება, რომლის დანიშნულებაც ამა დებულებას არ ეწინააღმდეგება. სრულსაქინდამხკომს უფლება აქვს გაანაღდოს მიღებული ქონება თავისი შეხედულებისამებრ, რამდენადაც ეს აუცილებელი იქნება მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

9. სრულსაქინდამხკომს უფლება ეძლევა, ამა დებულების პირველ მუხლში აღნიშნული მიზნისათვის, გახსნას დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, ყოველგვარი დაწესებულება და საწარმო, და როგორც ისეთი, რომელიც მოგებას მისდევს, აგრეთვე ისეთიც, რომელიც მოგებას არ მისდევს. ამ დაწესებულებათა და საწარმოთა მესამე პირისათვის გადაცემის უფლება სრულსაქინდამხკომს არა აქვს.

10. სრულსაქინდამხკომის უფლება აქვს მოსთხოვოს სახელმწიფო დაწესებულებას, რომელიც ანხორციელებს ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დახმარების საქმეს, — ცნობები სრულსაქინდამხკომისაგან მიღებული ქონების და სახსარის მოხმარებისა და სარგებლობის წესის შესახებ.

11. სრულსაქინდამხკომის უფლება აქვს გაეცნოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყველა საინვალიდო დაწესებულების მდგომარეობას და აგრეთვე იმ დაწესებულებათა მდგომარეობას, რომელნიც მოსამსახურეობას უწევენ ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთ, ხოლო არ უნდა ჩაერიოს ამ დაწესებულებითა მმართველობის საქმეში და მათ მოქმედებაში. თავის მასალასა და დასკვნას შემწინეული ნაკლის შესახებ სრულსაქინდამხკომი აცნობებს სათანადო სახალხო კომისარიატს და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს, ხოლო, თუ საჭიროება მოითხოვს, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმსაც.

12. სრულსაქინდამხკომს უფლება აქვს მოაწყოს ინვალიდის და წითელარმიელის მეგობართა საზოგადოებანი და ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიოს მის მოქმედებას. ამ საზოგადოებათა წესდება დამტკიცებულ უნდა იქნეს მომქმედი კანონით გათვალისწინებული წესისამებრ.

13. სრულსაქინდამხკომს აქვს მონოპოლიური უფლება ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის სასარგებლოდ საქველმოქმედო მარკების გამოშვებისა; სრულსაქინდამხკომმა ამ შემთხვევაში უნდა იმოქმედოს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

მარკების გავრცელება დაევალება სრულსაქინდამხკომს და ადგილობრივ დამხკომებს, რომელნიც ამ საქმეში პირველის ხელმძღვანელობით იმოქმედებენ.

14. სრულსაქინდამხკომის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ ხოლმე პერიოდულად თავისი ანგარიში.

4. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ორგანოები და მათი კომპეტენცია.

15. სრულსაქინდამხკომის ორგანოებია: ცენტრში — ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის პლენუმი და პრეზიდიუმი; ადგილობრივ — ა) აჭარისტანის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის მოკავშირე სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული დამხმარე კომიტეტები და ბ) სამაზრო (ქალაქის) დამხმარე კომიტეტები სათანადო აღმასკომებთან.

შენიშვნა. სრულსაქინდამხკომის პლენუმის შეხვედრებისამებრ შეიძლება მოწვეულ იქნეს ხოლმე დამხმარე კომიტეტის სრულიად საქართველოს თათბირი. ამ თათბირთა მოწვევის წესს, მათ შედგენილობას და განსახილველ საკითხებს განსაზღვრავს სრულსაქინდამხკომის პლენუმი.

ა) ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ცენტრალური ორგანოები.

16. სრულსაქინდამხკომის პლენუმი შესდგება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებისა, საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, კავკასიის წითელდროშიანი არმიის რევოლუციონური სამხედრო საბჭოს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, საქართველოს ცაკთან არსებული სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, გლეხთა საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარების ცენტრალური კომიტეტისა, ცეკავშირისა, შრომის სახკომისა, ტფილისის საბჭოს და საქართველოს წითელი ჯგერის საზოგადოების წარმომადგენელთაგან.

სრულსაქინდამხკომის პლენუმი მისცემს ზოგად დირექტივებს თავის ორგანოებს და აგრეთვე განიხილავს და დაამტკიცებს სრულსაქინდამხკომის პრეზიდიუმის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს.

შენიშვნა. სრულსაქინდამხკომის პლენუმს უფლება აქვს კოოპეტაციის წესით მიიწვიოს გარეშე პირი, რომელიც კომიტეტის მუშაობისათვის სასარგებლო იქნება და რომელსაც ამასთანავე რაიმე დამსახურება მიუძღვის ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დახმარების საქმეში.

17. სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიზიდვის წესს და აგრეთვე პლენუმის სხდომათა მოწვევის წესი და ვადა განისაზღვრება რეგლამენტით, რომელსაც სრულსაქინდამხკომის პლენუმი დაამტკიცებს.

18. სრულსაქინდამხკომის პლენუმი თავისი წრიდან აირჩევს პრეზიდიუმს; პრეზიდიუმში შედის არა უმეტეს 5 წევრისა. პრეზიდიუმის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

19. სრულსაქინდამხკომის პრეზიდიუმი ყველა შემთხვევაში სრულსაქინდამხკომის წარმომადგენელია თვინიერ განსაკუთრებული რწმუნებულობისა.

20. სრულსაქინდამხკომის ცენტრალური ორგანოების სამყოფელი ადგილი ტფილისია.

ბ. ადგილობრივი დამხმარე კომიტეტები.

21. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე ადგილობრივი კომიტეტები არსებობენ აპარისტანის ავტონომიური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ

ოლქისა და აფხაზეთის მოკავშირე სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და სამაზრო (საქალაქო) აღმასრულებელ კომიტეტთან.

22. ადგილობრივი კომიტეტი შესდგება პლენუმისა და პრეზიდიუმისაგან.

23. ადგილობრივი კომიტეტის პლენუმი შესდგება სათანადო ცენტრალურ და სამაზრო (საქალაქო) აღმასკომისა, საქართველოს კომპარტიის ადგილობრივი კომიტეტისა, ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, ქალთა განყოფილებისა, საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატისა, სამხედრო უწყებისა, სოციალურ უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოს, ჯანმრთელობის განყოფილებისა, პროფესიონალური საბჭოს და გლეხთა საზოგადოებრივი ურთიერთ დახმარე კომიტეტის წარმომადგენელთაგან.

შენიშვნა. პლენუმს აქვს ცალკე პირთა კოოპტაციის წესით მიწვევის უფლება.

24. ადგილობრივი კომიტეტის პრეზიდიუმი შესდგება თავმჯდომარისაგან, რომელიც არის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მისი მოადგილისაგან და სამი წევრისაგან; წევრებად არიან სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი განყოფილებისა, ჯანმრთელობის განყოფილებისა და სამხედრო უწყების წარმომადგენელი. თავმჯდომარის მოადგილეს დანიშნავენ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ან აღმასრულებელი კომიტეტი კუთვნილებისამებრ.

25. ადგილობრივი კომიტეტის პლენუმს სათანადო ადმინისტრატიული რაიონის ფარგალში აქვს სრულსაქინდამხკომის უფლებები, გარდა იმ უფლებებისა, რაც აღნიშნულია ამა დებულების მე-11, 12 და 13 მუხლში. თავის უფლებებს პლენუმი განახორციელებს თავისი პრეზიდიუმის მეშვეობით, რისთვისაც გამოიყენებს დამხკომის მუდმივ მდივანს და სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან აღმასკომის ტენიკურ აპარატს.

26. ადგილობრივი კომიტეტი პერიოდულად წარუდგენს ხოლმე თავისი მუშაობის ანგარიშს სრულსაქინდამხკომს იმ ვადაზე, რასაც დააწესებს სრულსაქინდამხკომის პრეზიდიუმი.

27. ამა დებულების ყველა დადგენილება, რაც სრულსაქინდამხკომის ცენტრალურ ორგანოებს შეეხება, თანაწორად ეხება აგრეთვე ადგილობრივ კომიტეტებსაც, რამდენადაც სხვა რომ არ არის აღნიშნული.

28. ადგილობრივი კომიტეტის სამყოფელი ადგილი უნდა შეეფერებოდეს სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ან აღმასკომის სამყოფელ ადგილს.

29. ადგილობრივ კომიტეტს აქვს ბეჭედი სათანადო წარწერით.

წ. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დახმარე ხრულიად საქართველოს კომიტეტის სახსარი.

30. სრულსაქინდამხკომისა და ადგილობრივ კომიტეტების სახსარს შეადგენს:

ა) მატერიალური და ფულადი შენატანი როგორც პერიოდული, ისე ერთ-

დროული; ბ) საქველმოქმედო მარკებისა, ჟეტონებისა, სურათებისა და სხვ. შემოსავალი, აგრეთვე კონცერტებისა, წარმოდგენებისა, ლექციებისა და სხვ. შემოსავალი; გ) შემოსავალი სავაჭრო-სამრეწველო და საწარმოთა და წარმოებითი დაწესებულებებისა, სასოფლო-სამეურნეო კოლონიებისა და სხვ., რასაც მოაწყოებს სრულსაქინდამხკომი და ადგილობრივი კომიტეტი, ამ საგანზე მოქმედ კანონდებულებათა მიხედვით. სრულსაქინდამხკომის სავაჭრო-სამრეწველო და წარმოებითი მუშაობა განხორციელდება სრულსაქინდამხკომთან არსებული სამმართველოებისა და განყოფილებების მიერ ცალკე დებულების საფუძველზე, რომელსაც დაამტკიცებს სრულსაქინდამხკომის პრეზიდიუმი.

შენიშვნა. ადგილობრივი დამხკომის შემოსავლის განსაზღვრული პროცენტი სრულსაქინდამხკომის ღირექტივებისამებრ, ამ უკანასკნელის შემოსავლად გადაირიცხება.

6. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის მოქმედების რევიზია.

31. სრულსაქინდამხკომისა და ადგილობრივი დამხმარე კომიტეტების მოქმედების საერთო რევიზიების გარდა, რასაც მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის ორგანოები აწარმოებენ, — ამ მოქმედებას შეიძლება გაეწიოს სარევიზიო გამოკვლევა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილებით და აგრეთვე სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა ან სამაზრო (საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური დადგენილებით.

7. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ და დაჭრილ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახის დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის ღირექტივი.

32. სრულსაქინდამხკომის ლიკვიდაცია მოხდება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, რომელიც განსაზღვრავს ლიკვიდაციის წესს. ლიკვიდაციის შემდეგ ქონება გადაეცემა საქართველოს ცაკთან არსებულ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას.

33. ადგილობრივი დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდება სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს სრულსაქინდამხკომის პრეზიდიუმთან.

34. უკეთუ ადგილობრივი დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაცია მოხდა, მისი ქონება გადაეცემა სრულსაქინდამხკომს, თუ ამ საგანზე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა სხვა რამ განკარგულება არ მოახდინა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
 აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
 აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. აპრილის 20.

ტილისა-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ № 108—109 № №-ში 1927 წ. მაისის 15-17.

66. დადგენილება № 43 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულების დაშტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება—ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ კ. ხომერიკი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მაგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი შ. მათიკაშვილი.

1927 წ. აპრილის 20.

ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების შესახებ.

ზოგადი დებულებანი.

1 ინვალიდთა სოციალური უზრუნველყოფის საქმის გასაუმჯობესებლად მათი თვითმოქმედებისა და ურთიერთი დახმარების ნიადაგზე შრომაში ჩაბმის საშუალებით—მოეწყობიან ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთები, რომელნიც მოქმედებენ ამ დებულების შემდეგი მუხლებით განსაზღვრულ საფუძველზე.

2. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთი მოეწყობა ინვალიდთა შეერთებით საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო და საშრომო არტელებად.

3, სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების ქავშირს ენიჭება უფლება დაამყაროს ურთიერთობა სხვადასხვა სახის კოოპერაციასთან, სახელმწიფო საწარმოსთან და სახელმწიფო ორგანიზაციასთან გენერალური შეთანხმებისა, კონვენციისა და საამხანაგო გაერთიანების საფუძველზე, რაც დაიდება სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალური ორგანოს ნებართვით.

ინვალიდთა არტელებს (ამხანაგობათ) და მათ კავშირებს უფლება აქვთ დასდონ ასეთივე სახის შეთანხმება, როგორც შემოხსენებულ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, ისე ერთმანეთთან ზემდგომი კავშირისა და სათანადო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს ნებართვით.

ინვალიდთა შენაერთებს და მათ კავშირებს შეუძლიანთ შევიდნენ მხოლოდ თავიანთ ზემდგომ ცენტრებში და აგრეთვე, სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოს ნებართვით, სასოფლო-სამეურნეო-საკრედიტო და სამრეწველო-საკრედიტო კოოპერატიულ კავშირებში.

4. იმ ინვალიდთა შენაერთზე, რომელიც დაარსებულ იქნება ამ დებულების წესების გარეშე, არ გავრცელდება არც თვით ეს დებულება და არც ის სპეციალური შეღავათები, რაც ამ დებულებაში ინვალიდთა შენაერთებისათვის არის დაწესებული; აგრეთვე მათ აეკრძალებათ ატარონ ინვალიდთა არტელის ან ინვალიდთა შენაერთის სახელწოდება.

ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთის მიზანი.

5. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთის მიზანს შეადგენს მის წევრთა მატერიალური კეთილდღეობის წარმატება შეერთებული შრომის საშუალებით ისეთ დარგებში, როგორცაა: წარმოება, სასოფლო მეურნეობა, ვაჭრობა, ყოველგვარი პირადი სამსახურის გაწევა, ურთიერთი დახმარება, თივის წევრებისათვის კრედიტის მიცემა და ინვალიდთა მასების კულტურული დონეს ამაღლება.

6. მე-5 მუხლში აღნიშნული მიზნების მისაღწევად ინვალიდთა პირველი საფეხურის კოოპერატიულ შენაერთს (არტელს) უფლება აქვს:

ა) მოაწყოს დამოუკიდებელი მუშაობა შინამრეწველობისა და ხელოსნურ საფაბრიკო და საქარხნო და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის ყოველგვარი ნაკეთობისა და პროდუქტების წარმოებისათვის;

ბ) მოაწყოს სამუშაო თავისი წევრებისათვის მათ სახლში, არტელის (ამხანაგობის) განკარგულებაში ქონებულ მიწებზე და ტყეებში, აგრეთვე შემკვეთთა სადგომებში და მიწებზე;

გ) შეიძინოს ყოველგვარი ქონება, საქონელი და სხვა საგნები, კერძო ბრუნვიდან გამორიცხულის გარდა, როგორც ნაღდათ, იზე კრედიტით და გაცვლით;

დ) მიიღოს შეკვეთა, იკისროს ნარდად მუშაობა და გაყიდვა-მიწოდება, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრავ დაწესებულებისაგან, ისე ქერძო ორგანიზაციისა და პირისაგან, მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, რასაც გამოაცხადებს სახელმწიფო და კომუნალური დაწესებულება და საწარმო;

ე) შეისყიდოს ნედლეული და სხვაგვარი მასალა, ინსტრუმენტები და ყოველგვარი მოწყობილობა, რაც საჭიროა შენაერთის წარმოებისათვის და მეურნეობისათვის თესლისა, სასუქისა, საჯიშე მასალისა და სხვა მისაწოდებლად;

ვ) გადაამუშაოს და გაასაღოს სასოფლო მეურნეობის პროდუქტები;

ზ) შეიძინოს, მოაწყოს და გამოიყენოს მანქანები, საელექტროფიკაციო ღ სხვაგვარი ტექნიკური ნაგებობანი, რაც სოფლის მეურნეობაში და საგლეხო საქმეში გამოიყენება; აგრეთვე განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად;

თ) გახსნას საწყობები როგორც ინვალიდებისა, ისე არა ინვალიდების ნაკეთობისა და წარმოების საგნების შესანახად და გასაყიდად; აწარმოოს ვაჭრობა დახურულ სადგომებში, აგრეთვე კალათებით, ყუთებით და სხვა ჭურჭლით;

ხოლო სავაჭრო არტელს უფლება არა აქვს აწარმოოს ბითუმი გაყიდვა ისეთი ნაკეთობისა და საგნისა, რაც ინვალიდების წარმოებას არ შეადგენს. საწარმოო არტელს კი, რომელსაც თავისი მალაზია და ფილიალი აქვს, შეუძლიან გაჰყიდოს აგრეთვე ისეთი საქონელი, რომლის წარმოებაც განსხვავდება მის წარმოებისაგან და რომელიც ინვალიდთა არტელის (ამხანაგობის) მიერ დამზადებული არ არის, ხოლო მისი წარმოების თანაბარი ასორტიმენტის საქონელია;

ი) აწარმოოს ყოველგვარი ნაყარ-ნამტკრევებისა, ჩვრებისა, წუნდადებული ნივთებისა და სხვა საუტილიზაციომასალის მოგროვება და გადამუშავება;

კ) აილოს სესხი;

ლ) თავისი წევრების შრომის საშუალებით გაუწიოს ყოველგვარი პირადი სამსახური სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებას და პირს;

მ) აწარმოოს თავისი წევრთა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა;

ნ) ხელი შეუწყოს თავისი წევრებს სესხისა და დახმარების მიცემით, სასაღილოებისა და საერთო საცხოვრებელი ბინების მოწყობით, კლუბების დაარსებით და სხვ.;

ო) განახორციელოს ყოველგვარი სხვა მოქმედება, რაც კანონით აკრძალული არ არის და რაც საჭიროა არტელის წესდებით დასახული მიზნების მისაღწევად.

7. ინვალიდთა შენაერთების კავშირს (მუხ. 21) თავისი მიზნების მისაღწევად უფლება აქვს:

ა) განახორციელოს ყველა ღონისძიება და აწარმოოს ყველა ოპერაცია, რაც გათვალისწინებულია ამ დებულების მე-6 მუხლით;

ბ) აღმოუჩინოს ინვალიდთა პირველი საფეხურის შენაერთებს (არტელებს) სამეურნეო დახმარება მათ შორის კავშირის დამყარებით, აგრეთვე კავშირის დამყარებით საკრედიტო და სამეურნეო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან— ფულადი და სასაქონლო კრედიტის მისაღებად ინვალიდთა ნაკეთობის გასაღებით, შეკვეთის მიღებით და სხვ.;

გ) მიიღოს ღონისძიება და გამოსძებნოს სახსარი, რათა ინვალიდთა არტელებს კრედიტი მიზანშეწონილად და თავის დროზე მიეცეს;

დ) გაუწიოს ინვალიდთა შენაერთებს წარმომადგენლობა და დაიცვას მათი ინტერესები ყველა სახელმწიფო ორგანოს, დაწესებულებისა და თანამდებობის პირის წინაშე;

ე) მოაწიოს სამრეწველო დაწესებულებები, სახელოსნოები, ფერმები, სადგურები, კოლონიები და სხვა დაწესებულებები ინვალიდთა არტელების (ამხანაგობის) საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე დააარსოს სპეციალური არტელები იმავე საჭიროებისათვის;

ვ) გაასაღოს ინვალიდთა შენაერთების პროდუქცია, მიაწოდოს მათ ყოველგვარი ნედლეული და სხვა მასალები, ინსტრუმენტები, საწარმოო იარაღები, ფულადი სახსარი და სხვა, რაც საჭიროა მათი რეგულიარული და ნაყო-

ფიერი მუშაობისათვის: აგრეთვე აწარმოოს ოპერაციები ურთიერთ შორის, რისთვისაც შეუძლიან საწყობები, კონტორები, განყოფილებები და სხვ.

ზ) აწარმოოს არსებული წესების საფუძველზე საკრედიტო ოპერაციები თავისი წევრებისათვის, რისთვისაც შეუძლიან მიიღოს მათგან ანაბარი, მისცეს მათ სესხი და სხვ., აგრეთვე აიღოს სესხი;

თ) მოაწყოს ინვალიდთა ურთიერთ დამხმარე საღაროები, რისთვისაც უნდა შექმნას საჭირო ფონდები;

ი) მოახდინოს რევიზია ქვემდგომ ინვალიდთა შენაერთებში;

კ) მოახდინოს ყოველგვარი სახის გამოკვლევა და გამოაქვეყნოს შედეგები;

ლ) გამოუშვას პერიოდული და სხვაგვარი გამოცემები;

მ) ხელმძღვანელობა გაუწიოს ინვალიდთა პირველ საფეხურის შენაერთების (არტელების) კულტურულ განმანათლებელ მუშაობას, ხელი შეუწყოს გაერთიანების იდეისა და მისი მიზნების პოპულარიზაციას;

ნ) შეასრულოს ყველა სხვაგვარი მოქმედება, რაც მიმართულ იქნება ინვალიდთა შენაერთების განვითარებისათვის ამა დებულების ფარგლებში;

ო) მოახდინოს შეთანხმება სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, კერძოდ, გლეხთა ურთიერთი დახმარების საზოგადოებებთან, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ინვალიდთა გაერთიანებისა და მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში;

პ) მოიწვიოს სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოს წინასწარი თანხმობით თათბირები, კონფერენციები და ყრილობები იმ საკითხების გამო, რაც დაკავშირებულია ინვალიდთა გაერთიანებისა, მათი შრომის ორგანიზაციისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმესთან.

ინვალიდთა პირველი საფეხურის შენაერთების (არტელების) შედგენილობა და მათი წევრების უფლება-მოვალეობანი.

8. ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთში (არტელში) წევრად შესვლის უფლება ეძლევა ქვემოთ ჩამოთვლილ პირთ. იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ სოციალური უზრუნველყოფის ან სოციალური დაზღვევის უფლება აქვთ:

ა) ყველა ჯგუფისა და კატეგორიის ინვალიდს;

ბ) ფრონტზე და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ და გარდაცვალებულ სამხედრო მსახურისა, გარდაცვალებული დაზღვეულისა და ომისა და შრომის ინვალიდის ოჯახის წევრს.

9. საინსტრუქტორო მუშაობისა და აგრეთვე ისეთი მუშაობის შესასრულებლად, რაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს ან რის შესრულებას ინვალიდები ვერ შესძლებენ, სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალური ორგანო შეიმუშავებს წესებს არტელში ისეთი პირების მიღების შესახებ, რომელნიც მე-8 მუხ. ნაჩვენები არ არიან, იმ პირობით კი, რომ ეს პირები მშრომელ ელემენტს უნდა ეკუთვნოდნენ. ამ პირთა რიცხვი არტელის წევრ-ინვალიდების საერთო რიცხვის ოცდახუთ პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.

შენიშვნა. უკეთეს საჭირო იქნება, არა-ინვალიდ წევრების რიცხვი არტელში სათანადო სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოს ნებართვით შეიძლება გადიდებულ იქნეს ორმოცდაათ პროცენტამდე.

10. წევრების უუმცირესი რიცხვი, რომელთა შედგენილობითაც შეიძლება არტელის გახსნა და მოქმედების დაწყება,—არ შეიძლება ხუთზე ნაკლები იყოს.

11. არტელის წევრად შესვლა, აგრეთვე არტელიდან გამოსვლა ნებაყოფლობითია.

შენიშვნა. სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალურ ორგანოს უფლება აქვს შეიმუშაოს საერთო წესი, რომლის მიხედვითაც შეიძლება ინვალიდს უარი ეთქვას არტელის წევრად მიღებაზე ან არტელიდან გამოსვლაზე, აგრეთვე რა რიგობით უნდა სწარმოებდეს არტელში წევრად მიღება სხვა და სხვა კატეგორიის პირებისა, რომელნიც მე-8 მუხლში არიან აღნიშნულნი.

12. არტელის ყოველი წევრი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს არტელის საქმიანობაში პირადი შრომით. დაქირავებული შრომის გამოყენება შეიძლება ისეთი სამუშაოსათვის, რის შესრულებაც არტელის წევრებს არ შეუძლიანთ; აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოს ნებართვით დაქირავებული შრომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებითი სამუშაოსათვის.

დაქირავებულ პირთა რიცხვი, არტელის არა-ინვალიდ წევრებთან ერთად, მე-9 მუხლის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს ინვალიდ-წევრების რიცხვის ოცდახუთ პროცენტს, ხოლო სათანადო შემთხვევაში (მე-9 მუხლის შენიშვნა)—ინვალიდთა რიცხვის ორმოცდა ათ პროცენტს.

შენიშვნა. ერთ და იმავე დროს ინვალიდთა ორ არტელში წევრად ყოფნა არ შეიძლება.

13. ინვალიდთა არტელის წევრი პასუხისმგებელია არტელის ყველა ვალდებულებისათვის, რაც წარმოიშვა როგორც არტელში წევრად შესვლამდე, ისე შესვლის შემდეგ. ინვალიდთა ყოველი არტელის წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს არტელის წევრების დამატებითი პასუხისმგებლობა არტელის ვალდებულებისათვის.

14. არავითარა გადასახდელი, რაც კი მიმართულია არტელის წევრისადმი მისი პირადი ვალის გამო, არ შეიძლება მიქცეულ იქნეს არტელში შეტანილ საპაიო თანხაზე. უკეთეს გადასახდელი მიქცეულ იქნა არტელის იმ წევრთა ხელფასზე, რომელნიც მოხსენებულ არიან ამა დებულების მე-9 მუხლში, შეფარდებულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 290 მუხლით გათვალისწინებული წესები.

ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების სახსარი.

15. ინვალიდთა პირველი საფეხურის კოოპერატიული შენაერთების (არტელების) და მათი კავშირების სახსარს შეადგენს: ა) ის ქონება, რაც გადავიდა

ამ ორგანიზაციების საკუთრებად მათი დაარსების დროს; ბ) შესასვლელი და საპაიო გადასახადი; გ) მოვების ანარიცხები და სხვა შემოსავალი.

16. შესასვლელი და საპაიო გადასახადის უდიდესი რაოდენობა განისაზღვრება სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალური ორგანოს დადგენილებებით.

17. უკეთუ ინვალიდთა შენაერთში წევრად შემსვლელ პირს სამისო სახსარი არა აქვს, შესასვლელი გადასახადი შეიძლება მის ნაცვლად შეიტანოს სოციალური უზრუნველყოფის ან სოციალური დაზღვევის ორგანომ პენსიის ნაწილობრივი კაპიტალიზაციის წესით, ან და მას საშუალება მიეცემა პაი ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ.

18. არტელში გაერთიანებული ინვალიდების პენსიების კაპიტალიზაციის რაოდენობა და პირობები განისაზღვრება სოციალურ უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალურ ორგანოს დადგენილებით.

შენიშვნა. გაერთიანებული შრომის ინვალიდთა პენსიების კაპიტალიზაციის რაოდენობა და პირობები განისაზღვრება სოციალურ უზრუნველყოფის სათანადო ცენტრ. ორგანოს და შრომის სახალხო კომისარიატის შეთანხმებით.

19. შესასვლელი გადასახადი არ დაიბრუნება.

20. არტელის ერთ წევრს არ შეიძლება ჰქონდეს ერთ პაიზე მეტი პაი; ამასთანავე არტელის წევრს უფლება არა აქვს სხვა პირს გადასცეს.

ინვალიდთა არტელების შენაერთები (კავშირები).

21. ინვალიდთა პირველი საფეხურის შენაერთებს (არტელებს), მათი მიზნების წარმატებით განსახორციელებლად, შეუძლიანთ სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალური ორგანოს ნებართვით, ტერიტორიალური ნიშნების მიხედვით, გაერთიანდნენ რესპუბლიკანურ, საოლქო და სამახრო კავშირად. სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან მოეწყობა სრულიად საქართველოს ცენტრი ამ შენაერთებისა—სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირი.

22. ინვალიდთა არტელების შენაერთის (კავშირის) მოსაწყობად საჭიროა მონაწილეობა არა ნაკლებ, ვიდრე ხუთი პირველი საფეხურის არტელისა.

გამგებლობისა, კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანოები.

23. ინვალიდთა პირველი საფეხურის კოოპერატიული შენაერთის (არტელის) გამგებლობის ორგანოები არიან: შენაერთის (არტელის) წევრების საერთო კრება და მისი გამგეობა, ხოლო კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანო—სარევიზიო კომისია.

შენიშვნა. არტელის წევრების საერთო კრების უფლება-მოვალეობა და აგრეთვე გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნების წესი და უფლება-მოვალეობა განისაზღვრება ინვალიდთა შენაერთის (არტელის) წესდებით.

24. ინვალიდთა ზემდგომი შენაერთის (კავშირის) გამგებლობის ორგა-

ნოები არიან: რწმუნებულთა კრება და გამგეობა, ხოლო კონტროლისა და ზედამხედველობის ორგანო—სარევიზიო კომისია.

შენიშვნა 1. უკეთუ ინვალიდთა შენაერთების კავშირის წევრთა რიცხვი თვალსაჩინოთ დიდია, მის წესდებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კავშირის საბჭოს დაარსება.

შენიშვნა 2. რწმუნებულთა კრებისა, გამგეობისა, საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევისა და მოქმედების წესი, აგრეთვე უფლება-მოვალეობა განისაზღვრება კავშირის წესდებით.

25. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთები მოქმედებენ სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალ. ორგანოს საერთო ხელმძღვანელობით; მასვე ეკუთვნის აგრეთვე უფლება გაუწიოს კონტროლი და ზედამხედველობა ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთების გამგებლობის ორგანოების მოქმედების კანონიერებას ამა დებულებისა და იმ ინსტრუქციების ფარგლებში, რასაც გამოცემს სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმასრ. კომიტ. სოციალ. უზრუნ. განყოფილ. ამა დებულების შესაფარდებლად.

26. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირს უფლება აქვს შეამოწმოს ინვალიდთა შენაერთების (არტელების) და მათი კავშირის საქმეები და ქონება.

27. სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალურ ორგანოს უფლება აქვს:

ა) გასცეს პრინციპიალური ხასიათის ზოგადი დირექტივები;

ბ) მოახდინოს რევიზია და გამოკვლევა, გაეცნოს დადგენილებათა ოქმებს, დოკუმენტებს და ანგარიშებს;

გ) თვალყური ადევნოს ინვალიდთა კოოპერაციის მოქმედების კანონიერებას და მათი საქმიანობის შესახებ გამოცემულ ცირკულარების, ინსტრუქციების და განკარგულებების შესრულებას;

დ) მისცეს პასუხისგებაში, განსაკუთრებულ შემთხვევაში თანამდებობიდან გადაყენებითაც, როგორც გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ცალკე წევრები, ისე მთლად გამგებლობისა და კონტროლის ორგანოების შედგენილობა, რის შემდეგაც მოწვეული უნდა იქნეს საერთო კრება გამგებლობისა და რევიზიის ახალი ორგანოების ასარჩევად.

შენიშვნა. სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მოქმედებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს საჩივარი სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრ. ორგანოში, სადაც საკითხი საბოლოოდ გადაწყდება.

28. ინვალიდთა ყოველი არტელი (ამხანაგობა) მოვალეა წარუდგინოს წლიური ანგარიში და ბალანსი იმ კავშირს, რომლის წევრიც ის არის, და აგრეთვე სათანადო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებში—არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა საერთო კრების მიერ გასული საოპერაციო წლის ანგარიშის დამტკიცების დღიდან. ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირმა

თავისი წლიური ანგარიში უნდა წარუდგინოს, ზემდგომი კავშირის გარდა, აგრეთვე სათანადო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს.

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებულმა სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირმა ასლი თავისი ანგარიშისა—სარევიზიო კომისიის დასკვნითურთ უნდა წარუდგინოს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას.

ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების წესდებანი.

29. ინვალიდთა არტელები და მათი შენაერთები (კავშირები) მოეწყობიან და იმოქმედებენ თანახმად წესდებისა, რაც შედგენილ უნდა იქნეს იმ ნორმალური წესდების მიხედვით, რომელსაც ამა დებულების საფუძველზე გამოსცემს საქ. ცენტრ. აღმასრულ. კომიტ. სოციალ. უზრუნველ. განყოფილება საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით. ინვალიდთა არტელებისა და მათი შენაერთების წესდებანი, აგრეთვე ამ წესდებათა ცვლილებანი დამტკიცებულ უნდა იქნეს და ერთი თვის განმავლობაში რეგისტრაცია გაკეთებული სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ, საქართ. ცენტრალ. აღმასრ. კომიტ. სოციალ. უზრუნველყოფის განყოფილების მიერ გამოცემული განსაკუთრებული წესების თანახმად.

სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირის წესდება, საქართველოს ცენტრ. აღმასრ. კომიტ. სოციალ. უზრუნველ. განყოფილების მიერ დადასტურების შემდეგ, დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს.

30. ინვალიდთა არტელები და მათი შენაერთები (კავშირები) რეგისტრაციაში გატარების დღიდან იცნობებიან იურიდიულ პირებად და მათ შეუძლიანთ აწარმოონ ყველა ოპერაცია მათი წესდებით გათვალისწინებულ ფარგლებში.

31. ყველა არტელისა და მათი ზემდგომი შენაერთების (კავშირების) წესდებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) არტელის (შენაერთის, კავშირის) სახელწოდება, მოქმედების რაიონი და გამგებობის სამყოფელი ადგილი;


ბ) არტელის (შენაერთის, კავშირის) მიზანი და მოქმედების საგანი;

გ) პირობები არტელში (შენაერთში, კავშირში) წევრად შესვლისა, არტელიდან გამოსვლისა და გამოორიცხვისა და აგრეთვე წესი გამოსულ წევრებისათვის მათი ხვედრი თანხების დაბრუნებისა;

დ) არტელის (შენაერთის, კავშირის) წევრების უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობა მისი ვალდებულებისათვის, აგრეთვე იმ შემთხვევაშიდაც, როდესაც არტელიდან (შენაერთიდან კავშირიდან) გამოვლენ;

ე) კაპიტალების შედგენის პირობები და წესი და მათი დანიშნულება;

ვ) პაისა და შესასვლელი გადასახადის რაოდენობა;



ხ) ანგარიშების შედგენისა, დამტკიცებისა და გამოქვეყნების წესი და ვადა;

თ) მოგებისა და ზარალის განაწილების წესი;

ი) შედგენილობა გამგეობისა, საბჭოსი, უკეთუ იგი არსებობს, და სარევიზო კომისიისა, მათი წევრების არჩევის წესი, უფლებანი და მოქმედების ვადა;

კ) საერთო კრებების (რწმუნებულთა კრებების) მოწვევის წესი და ვადა, მათი კანონიერების პირობები, მუშაობის წესი, დადგენილებების მიღებისა და აგრეთვე ოქმებისა თუ ჟურნალების შედგენის წესი;

ლ) არტელის (შენაერთის, კავშირის) ლიკვიდაციის პირობები და წესი;

მ) განსაკუთრებული უფლებანი, რაც მინიჭებული აქვთ ზედმდგომ შენაერთებს ქვემდგომ შენაერთებისადმი, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალ. ორგანოს და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებს ყველა საფეხურის ინვალიდთა შენაერთების მიმართ.

ინვალიდთა შენაერთების ლიკვიდაცია.

32. ინვალიდთა არტელების (ამხანაგობათა) და მათი კავშირების ლიკვიდაცია მოხდება:

ა) მათი წევრების ან რწმუნებულების საერთო კრების დადგენილებით;

ბ) უკეთუ ორგანიზაციის წევრთა რიცხვი იმაზე ნაკლები იქნება, რაც განსაზღვრულია ამა დებულებით (მუხ. 10 და 32) და წესდებით და უკეთუ ორი თვის განმავლობაში დღიდან ასეთი მდგომარეობის შექმნისა ორგანიზაცია შევსებულ არ იქნება ახალი წევრებით;

გ) უკეთუ ორგანიზაცია არ შეუდგება წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დამფუძნებლებს ეცნობათ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ წესდების დამტკიცება და რეგისტრაციაში გატარება; ამ ვადის გასვლამდე ახლად დაარსებული კოოპერატიული ორგანიზაცია მოვალეა აცნობოს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებს, რომ მან დაიწყო მოქმედება; წინააღმდეგ შემთხვევაში, სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოს დადგენილებით, იგი ამორიცხულ იქნება რეესტრიდან;

დ) უკეთუ სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციას შეერთვის ან გამოეყოფა;

ე) უკეთუ სასამართლოს დადგენილებით ორგანიზაცია არაშემძლედ იქნა ცნობილი;

ვ) ინვალიდთა სამაზრო შენაერთის მიერ არტელის (ამხანაგობის) შესახებ გამოტანილი დადგენილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს სამაზრო აღმასკომის მიერ, და სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალური ორგანოების მიერ — ყველა საფეხურის ინვალიდთა შენაერთის შესახებ, უკეთუ დარღვეულია მოქმედი კანონი და წესდება, უკეთუ ქვემდგომი შენაერთი ზედმდგომი შენაერთის კანონიერ მოთხოვნას არ ემორჩილება და უკეთუ არტელი-

სა (ამხანაგობისა) და არტელთა შენაერთის (კავშირის) მოქმედება ეწინააღმდეგება ინვალიდთა კოოპერაციის ძირითად პრინციპებს.

33. არტელისა და ზემდგომ შენაერთის (კავშირის) ლიკვიდაციის ვადას განსაზღვრავს სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ცენტრალური ორგანო ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელიწადს იმ დღიდან, როდესაც გამოტანილი იქნა დადგენილება ლიკვიდაციის შესახებ. დადგენილება ლიკვიდაციის შესახებ გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სათანადო ოფიციალურ ადგილობრივ გაზეთში.

საპაიო თანხა შეიძლება დაებრუნოს შენაერთის წევრებს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დაფარული იქნება ორგანიზაციის ვალები.

ინვალიდთა ორგანიზაციის ვალების დაფარვის დროს, სამოქალაქო კოდექსის 101 მუხლით გათვალისწინებულ პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ პირველ რიგში დაფარულ უნდა იქნეს: პირველი საფეხურის შენაერთების (არტელების) ვალების დაფარვის დროს სესხი, რაც აღებულია ინვალიდთა არტელების შენაერთებისაგან და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებული სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირისაგან; სრულად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირის ვალების დაფარვის დროს—სესხი, რაც აღებულია საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისაგან.

არტელებისა და მათი კავშირების ქონებას და თანხებს, რაც კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩება, უნდა მიეცეს სათანადო კოოპერატიული ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული დანიშნულება.

34. იმ საგადასახადო შეღავათების გარდა, რაც ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთებისათვის გათვალისწინებულია სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირის კანონმდებლობით, აღნიშნულ შენაერთებსა და მათ კავშირებს მიეცემათ აგრეთვე ქვემოთაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებული შეღავათები.

35. ყოველგვარი ურთიერთი მიმართვის დროს სხვადასხვა უწყებასთან, სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებასთან და საწარმოსთან, აგრეთვე ერთმანეთს შორის და კერძო პირთან, ინვალიდთა შენაერთები, როგორც პირველი საფეხურისა, ისე ზემდგომი, ყველა საქმეებზე განთავისუფლდებიან სასამართლოს, სანოტარო, ადგილობრივი და სხვა გამოსაღებისა და ბაჟისაგან. აგრეთვე არ დაიბეგრება რაიმე გამოსაღებით მთლად ის მიწერა-მოწერა, რაც დაკავშირებულია ინვალიდთა პირველ საფეხურის შენაერთებისა (არტელებისა) და მათი ზემდგომი შენაერთების დამტკიცებასთან და რეგისტრაციასთან.

შენიშვნა. ინვალიდთა შენაერთების შეღავათები საღერბო გამოსაღების სფეროში განისაზღვრება სპეციალური კანონით.

36. საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სადგომების მიჭირავების დროს, აგრეთვე კომუნალური სამსახურის გაწევის დროს ადგილობრივი აღმასკომები და საბჭოები მოვალენი არიან მისცენ ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთებს



არტელებს) და მათ კავშირებს უპირატესობა სხვა ორგანიზაციებსა და პირებთან შედარებით. სადგომებისა და კომუნალური სამსახურისათვის ქირიქ (გალების სფეროში ინვალიდთა შენაერთები (არტელები) და მათი კავშირები გათანასწორებულ არიან სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფოსთან

37. ყოველი სახის ქონებრივი დაზღვევის დროს, მაგალითად: შენობისა, საქონლისა, მოწყობილობისა, ნათესისა, ოთხფეხი საქონლისა რ სხ., ინვალიდთა შენაერთები და მათი კავშირები ტარიფებისა და შეღავათების სფეროში გათანასწორებულ არიან სახელმწიფო დაწესებულებასთან და საწარმოსთან.

38. სპეციალური შეღავათები, რაც დაწესებულა ინვალიდთა შენაერთებისათვის, გავრცელდება მათზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ისინი შედიან სათანადო ზემდგომ კავშირში, ხოლო იქ-კი, სადაც ასეთი კავშირი არ არსებობს, ამისათვის საჭიროა სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოს დასტური.

39. ინვალიდთა არტელები და მათი შენაერთები, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო და კომუნალურ დაწესებულებაში და საწარმოთა მიერ გამოცხადებულ საჯარო ვაჭრობაში, განთავისუფლდებიან საწინდრის შეტანისაგან.

40. იმ ინვალიდსა და აგრეთვე სხვა პირს, რომელიც სოციალურ უზრუნველყოფაზე და წევრად შედის ინვალიდთა კოოპერატიულ შენაერთში, შეეახება არსებული კანონებით მისთვის მიკუთვნებული პირადი შეღავათები და უპირატესობანი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-104—105 №-ში 1927 წ. მაისის 11—12.

67. დადგენილება № 44 ც. ა. კ.

ღვინის დაყენებისა, შენახვისა და გაყიდვის წესების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული წესები ღვინის დაყენებისა, შენახვისა და გაყიდვის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ **კ. ხომერიკი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1927 წ. აპრილის 20.

ტფილისი—სასახლე.



წ ე ს ე ბ ი

ღვინის დაყენებისა, შენახვისა და გაყიდვის შესახებ.

1. „ღვინო“-ს სახელწოდებით შეიძლება მხოლოდ ისეთი სასმელის გაყიდვა, რაც მიღებულია ახლად დაკრეფილი ან დამქვარი (ხოლო არა ქიმიური) ყურძნის წვენის ალკოჰოლური დუღილით ქაქაზე ან უქაქოთ, და რასაც არავითარი სხვა რამ იმის გარდა, რაც ამ წესის მესამე მუხლშია აღნიშნული, არა ურევია-რა.

შენიშვნა. ქიმიური ღვინის დამზადება შეიძლება მხოლოდ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ—ყოველ ცალკე შემთხვევაში ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გაცემული განსაკუთრებული ნებართვით. ამგვარი ღვინის დაყენების და გაყიდვის წესს შეიმუშავენს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

2. ღვინისაგან მიღებული სასმელები:

1) ალკოჰოლურად დადუღებული შამპანურივით;

2) ხელოვნურად გაჟღენთილი ნახშირმჟავით—იწოდება „შუშუნა ღვინო“-დ.

პირველ შემთხვევაში ეტიკეტზე უნდა აღინიშნოს „ქართული შამპანური“ ან „დაყენებულია შამპანურივით“, იმ პირობით კი, რომ იქვე აღინიშნოს ადგილი და ფირმა, სადაც ღვინოა დაყენებული, ხოლო მეორე შემთხვევაში წარწერა ეტიკეტზე „ქართული შამპანური“ ან „დაყენებულია შამპანურივით“—აკრძალულია.

3. ღვინის დაყენებისათვის არსებულ ტექნიკურ საშუალებათა შორის ნებადართულია შემდეგი:

ა) ყურძნის ტკბილისა და ღვინის პასტერიზაცია;

ბ) წმინდა სადედის ხმარება ღვინის დასადუღებლად;

გ) ღვინის დაწმენდა კვერცხის ცილით, თევზის წებოთი, წმინდა ქელატინით, კახეინით და ალბუმინით;

დ) ღვინის დაწმენდა ისეთი მექანიკურად დამწმენდავი ნივთიერებით, რაც არ იხსნება ღვინოში, როგორც არის მაგალითად: აზბესტი, ცელიულოზი, ინფუზორის მიწა, დაწმენდილი თავგ-მარილას ქეიშა, კაოლინი და აგრეთვე ცხოველური ან მცენარეული ნახშირი;

ე) ღვინის ან ყურძნის ტკბილის გაწურვა-დაწმენდა ქსოვილებით და ისეთი ნივთიერებით, რაც ღვინოში არ იხსნება;

ვ) გარევა ღვინოში ტანინისა, ლიმონისა და ღვინის სიმჟავებისა, საშუალო ღვინის მჟავაკალიუმისა და ქიმიურად წმინდა დალექილი ნახშირმჟავა-კალციუმისა, ისე კი, რომ კალციუმის რაოდენობა არ აღემატებოდეს 400 მილიგრამს ლიტრზე; აგრეთვე წმინდა კრისტალურ ფოსფორმჟავა ამონიუმისა იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ნორმალური დადუღებისათვის;

ზ) ღვინის კონცენტრაცია გაყინვით;

თ) ღვინოების შერევა ერთმანეთში (კუპაჟი);

ი) ღვინოში ქლორ ნატრიუმის გარევა არა უმეტეს 1 გრამისა ლიტრზე;

კ) გოგირდის აირგვარი ან თხიერი სიმჟავის ხმარება და წმინდა გოგირდის ჩაბოლება ჭურჭელში, ისე კი, რომ გასაყიდად დამზადებული ყურძნის ტკბილში ან ღვინოში გოგირდიანი სიმჟავის რაოდენობა არ აღემატებოდეს 200 მილიგრამს ლიტრზე, და ამ რიცხვში თავანდარი გოგირდიანი სიმჟავე 20 მილიგრამზე მეტი არ იყოს. ჭურჭელში ჩასაბოლებლად სახმარი გოგირდი უნდა სრულებით წმინდა იყოს და არ ერიოს დარიშხანა.

შენიშვნა. შეიძლება ყურძნის ტკბილში მეტაბისულფიტკალიუმის არა უმეტეს 20 გრამისა ჰექტოლიტრზე.

ლ) ტაბაშირის (გოგირდმჟავაკირის) არევა ყურძენში, ხოლო ისე, რომ მიღებულ ღვინოში გოგირდის სიმჟავე არ აღემატებოდეს 0,92 გრამს ლიტრზე, რაც უდრის 2 გრამს საშუალო გოგირდმჟავაკალიუმის მარილს ლიტრზე;

მ) ყურძნის ტკბილის მოღუღება ან მისი კონცენტრაცია ატმოსფერული წნევის შემცირებით;

ნ) გარევა შესქელებული ყურძნის (და არა ქიშმიშის) ტკბილისა, აგრეთვე ღვინის რექტიფიკაციული ან და კონიაკის სპირტისა, რომლის სიმაგრე პირველ შემთხვევაში 94°-ზე, ხოლო მეორე შემთხვევაში—80°-ზე ნაკლები არ უნდა იყოს; ამასთანავე სპირტის გარევის შემდეგ ღვინის სიმაგრე საერთოდ არ უნდა აღემატებოდეს: სუფრის ღვინოში—11 პროცენტს, სადესერტო და სალიქიორო ღვინოში—16 პროცენტს, ხოლო მაგარ ღვინოში—20 პროცენტს მოცულობით. სუფრის ღვინის სიმაგრე, ყოველ შემთხვევაში, 3°-ზე მეტად არ უნდა იქნეს გადიდებული.

შენიშვნა 1. რექტიფიკაციული სპირტი უნდა გაისინჯოს სავალის მეთოდით და აჩვენებდეს სიწკინდეს 10-დან 9.

შენიშვნა 2. ახალი მოღუღებული ან ატმოსფერის წნევის შემცირებით შესქელებული ტკბილის ან ისეთი ტკბილის დასპირტვა, რაც მიღებულია ვაზზე შემქნარი ყურძნისაგან, შეიძლება, თანახმად ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული საერთო საფუძვლებისა, უმაღლეს სიმაგრემდე, ე. ი. 25°-მდე (როგორც მასალისა).

შენიშვნა 3. მაგარი ღვინისა, ლიქიორისა, სადესერტო ან სუფრის ღვინის დაყენების დროს შესქელებული ან მოღუღებული ტკბილის ან და ღვინის სპირტის მიმატება შეიძლება მხოლოდ ადგილობრივად, მევენახეობის რაიონებში—იქ, სადაც ღვინოს აყენებენ.

ო) ლერწმის ან კარხლის წმინდა შაქრის გარევა ყურძნის ტკბილში ადუღებამდე ან დუღილის დროს, ხოლო ისე კი, რომ საერთო რაოდენობა სპირტისა სუფრის ღვინოში არ გადიდდეს 3 პროცენტზე მეტად და საბოლოოდ არ აღემატებოდეს 11 პროცენტს მოცულობით; ტკბილში შაქრის გარევა სუფრის ღვინის დასაყენებლად ნებადართულია მხოლოდ იქ, სადაც ღვინოს აყენებენ—მარტოოდენ მევენახეობის რაიონებში, თანაც ღვინის დაყენების პერიოდში და

ამა თუ იმ ადგილის მევენახეობისათვის განსაკუთრებით არახელსაყრელ წლებში; ამასთანავე, აუცილებლად საქირთა საქართველოს ს. ს. რ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ნებართვა. ამგვარად მომზადებული ღვინო ნატურალურ ღვინოდ ჩაითვლება.

შენიშვნა. აკრძალულია შაქრის გარევა სადესერტო და მაგარ ღვინოში, აგრეთვე იმ ტკბილში, რითაც აღნიშნულ ღვინოს აყენებენ.

3) ლერწმისა და ქარხლის წმინდა შაქრის გარევა დაწესებული ნორმის ფარგლებში შამპანურივით ღვინოს დამზადების დროს.

შენიშვნა. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს უფლება აქვს, ჯანმრთელობისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, ნება დართოს ზემოაღნიშნულ საშუალებათა გარდა აგრეთვე სხვა ტენიკურ საშუალებათა შემოსაღებად.

4. აკრძალულია ღვინოში გარევა:

ა) ჯანმრთელობისათვის მავნებელი ნივთიერებისა, როგორც არის: სახარინი ან სხვა ხელოვნურად დატკბილებული ნივთიერება, ქვანახშირისაგან მიღებული საღებავისა, ბენზოინისა, სალიცილისა, ბორისა, აზოტის ფლუორწყალბადისა ან მქაუნას სიმჟავისა და მათი მარილისა, გოგირდისა და მარილის სიმჟავისა, ფორმალინისა, აბრისტოლისა, ალიუმინის შენაერთისა, ტყვიისა, დარიზანისა, სპილენძისა, ვერცხლის წყლისა და ბარიუმისა;

ბ) დულცინისა, გლიუკოზისა, გლიცერინისა, სტრონციუმისა და მაგნიუმის შენაერთისა.

შენიშვნა 1. აკრძალულ ნივთიერებათა შორის არ ჩაითვლება სპილენძის მარილი, რის ნიშნებიც შეიძლება დარჩეს ღვინოში სოკოთი დაავადებული ვაზის წამლობის შემდეგ.

შენიშვნა 2. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეუძლიან ამა მუხლით აკრძალულ ნივთიერებათა სია შეავსოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

5. აკრძალულია დამზადება და შენახვა გასაღების მიზნით წყალნარევი ღვინისა.

6. აკრძალულია ისეთი ღვინის დამზადება გასასყიდად, მისი შენახვა სავაქრო ან სამრეწველო სადგომში და გაყიდვა, რომელშიაც გარეულია ხილისა ან ხილეულისაგან მომზადებული ღვინო, აგრეთვე ხილის ან ხილეულის ახალი, დადუღებული ან შესქელებული წვენი, ხილის ან ხილეულის გამოანაწერი ან გამოანახარში ან და სხვა რაიმე ნივთიერება ფერისა ან სურნელობის მისაცემად.

7. აკრძალულია დაავადებული, დამწარებული, გაღორწოებული და დამარებული ღვინის გაყიდვა. დამარებულად ჩაითვლება ისეთი ღვინო, რომელშიაც მქროლავი სიმჟავე აღემატება 2,5 გრამს ძმრის სიმჟავეზე გამოანგარიშებით; დამარეულად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ისეთი ღვინოც, რომელშიაც მქროლავი სიმჟავე თუმცა 2.5 გრამზე ნაკლებია, მაგრამ დეგუსტაციით ან მიკროსკოპული გამოკვლევით დამარების აშკარა ნიშნები იქნება აღმოჩენილი.

შენიშვნა. აკრძალულია დაავადებული ღვინოს შენახვა, უკეთუ იგი

უკვე ჩამოსხმულია ბოთლებში ან ინახება იქ, სადაც პირდაპირ ბოჭკიდან წვრილ-წვრილად ჩამოსხმით იყიდება; ამ ღვინის სარდაფში ბოჭკით დატოვება საწამლებლად, ან სპირტის გამოსახდელად ან და ძმრად გადასაკეთებლად შეიძლება, ხოლო არა უმეტეს ერთი წლისა.

8. აკრძალულია უცხოეთის ღვინის სახელით საქართველოში დაყენებული ღვინის ან უცხოეთის ღვინისა და ქართული ღვინის ნარევის (კუპაჟის) გაყიდვა. უკეთეს საქართველოში დაყენებულ ღვინოს უცხოეთის ღვინის სახელი ეწოდა, მტიკეტზე გარკვეულად უნდა აღინიშნოს ღვინის დამზადების ადგილი.

9. აკრძალულია ისეთი სასმელის დამზადება გასასყიდად, მისი შენახვა და გაყიდვა სავაჭრო ან სამრეწველო სადგომში, რაც მიღებულია ქაქის ან თხლის ალკოჰოლური დუღილით შაქრის გარკვევით ან წყლის დასხმით, მაგ. „პეტია“, „თხლის ღვინო“, „პიკეტი“ ზე სხვ. ასეთი სასმელების დამზადება შეიძლება მარტო შინ სახმარებლად, ყოველ ცალკე სამეღვინეო მეურნეობის ფარგლებში და ისიც იმ პირობით, რომ წლიური რაოდენობა ასეთ ქაქაზე წყალდასხმულ ან შაქარ გარეულ და დუღილით მიღებულ სასმელს („პეტია“ და სხვ.) არ აღემატებოდეს, ვარაუდით ერთ დესტინა მსხმოიარე ვენახზე, 20 ვედროს (250 ლიტრს).

შენიშვნა. ქაქისა და თხლისაგან შეიძლება სასმელის დამზადება სპირტის გამოსახდელად, საამისოდ შემოღებული წესის დაცვით, ხოლო მარტოდენ ისეთი სასმელისა, რაც უშაქროდ მზადდება.

10. აკრძალულია სავაჭრო ან სამრეწველო სადგომში შენახვა და გაყიდვა ღვინის სახელით ყურძნის წვენისაგან მიღებულ სასმელისა, რასაც შერეული აქვს ქიმიკატისა და წყლისაგან დამზადებული სასმელი, აგრეთვე ხილეული წვენ-ნარევი სასმელისა და საერთოდ, ყველა ისეთი სასმელისა, რომელიც თავისი შემადგენელი ნაწილებით ყურძნის ღვინოს არ შეესაბამება.

შენიშვნა. ნედლი ხილისა და ხილეულის დადუღებით მიღებული ღვინის შენახვა და გაყიდვა სავაჭრო ან სამრეწველო სადგომში შეიძლება იმ პირობით, უკეთეს სასმელის ქურქელზე გარკვევით იქნება აღნიშნული ის ხილი და ხილეულობა, რისგანაც ღვინოა დამზადებული (ვაშლის ღვინო, ალუბლის ღვინო, ქერამის ღვინო). ამ ღვინოს შეიძლება სპეციალური რამ სახელიც ეწოდოს; ხოლო, ყოველ შემთხვევაში, არა ისეთი, რაც ყურძნის ღვინოს ეწოდება.

11. ბოთლებში, ბოჭკაში ან რუმბებში ჩამოსხმულ გასასყიდ ღვინოს ქურქელზე უნდა ჰქონდეს სათანადო წარწერა—რა სახისა და სადაურია ეს ღვინო (კახური, სვირული, ხეანკარა და სხვ.), ხოლო ბოთლის ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იყოს ფირმა ან ღვინის სავაჭრო ადგილი. იგივე აღინიშნება სავაჭრო ადგილისა და სარდაფის დათარებში, ანგარიშებში და სატვირთო ბარათებში.

შენიშვნა. უკეთეს ბოთლებში ჩამოსხმული ღვინო სარდაფში ან საბითუმო საწყობში ინახება, ზემოაღნიშნული წარწერა შეიძლება, ქურქელის ბადლად, კარადაზე ან თაროზე იყოს და ყველა იმ საცავზე, სადაც ბოთლებში ჩამოსხმული ღვინო ინახება.

12. ის ლენინო, რაც ამა წესების დარღვევით დამზადებულია გასასყიდად ან ინახება სავაჭრო ან სამრეწველო სადგომში, მისი სიავკარგის არსებული წესისამებრ გამორკვევამდე, დაიბეჭდება, რის შემდეგ სასამართლოს დადგენილების თანახმად ლენინო ჩამოერთმევა პატრონს და ან გადაიღვრება ან გადაამუშავდება და გაიყიდება; გაყიდვით მიღებული თანხა სახელმწიფოს შემოსავლად ჩაირიცხება.

13. საერთო ზედამხედველობის გაწევა ამა წესების შეფარდებისათვის დაეკისრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, რომელსაც შეუძლიან ჯანმრთელობისა, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებთან შეთანხმებით გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები. ლენინის დაყენებისა, შენახვისა და გაყიდვის ფალსიფიკაციასთან ბოძოლის ღონისძიებათა განსახორციელებლად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ადგილობრივ და ცენტრალურ დაწესებულებებში არსდება სპეც-კონტროლიორების თანამდებობა და უნოქიმიური ლაბორატორიები.

სპეც-კონტროლიორის მიერ შედგენილი აქტი ფალსიფიკაციის შესახებ წარედგინება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

14. ის, ვინც გასასყიდად დაამზადებს, შეინახავს სავაჭრო ან სამრეწველო სადგომში ან გაჰყიდის ისეთ ლენინოს, რაშიაც ამა წესების მე-4 მუხლში აღნიშნული, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებანია შერეული, პასუხს აგებს საქართველოს ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის 197 მუხლისამებრ.

15. ის, ვინც დაამზადებს გასასყიდად, შეინახავს სავაჭრო ან სამრეწველო სადგომში ან გაჰყიდის ისეთ ლენინოს, რაშიაც შერეულია გარეშე, მაგრამ ჯანმრთელობისათვის უვნებელი ნივთიერება, რის შერევაც აკრძალულია ამა წესებით ან, თუმცა აკრძალული არ არის, მაგრამ დაწესებულ ნორმაზე მეტი რაოდენობითაა შერეული, აგრეთვე დაავადებულ ლენინოს, — პასუხს აგებს საქართველოს ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის 196 მუხლისამებრ.

16. ის, ვინც დაარღვევს ამ წესებს, იმ შემთხვევების გამოკლებით, რაც ორი წინა მუხლშია აღნიშნული, პასუხს აგებს საქართველოს ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის 142 მუხლისამებრ.

17. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს უფლება აქვს ამა წესების განსავითარებლად გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი და მათი დარღვევისათვის დააწესოს პასუხისმგებლობა იმ ფარგლებში, რაც განსაზღვრულია მომქმედი კანონით—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა შესახებ. გადასახდელის დადება აღნიშნულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დაეკისრება სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს არსებული წესისამებრ.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს მე-112 №-ში 1927 წ. მაისის 20.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

68. დადგენილება ს. კ. ს.

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1, 2, 3, 4, 7, 8, 9, 10, 11, 12, მე-13 მუხ. მე-2 შენიშვნისა, 14, 15, 16, 19, 20, 21 და 23 მუხ. რედაქციის შეცვლისა, 17 და 18. მუხ. ამოშლისა და ამ დებულებისათვის 3¹ და 10¹ მუხ. დამატების შესახებ.

რათა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ნოტარიატის დებულება (საქართველოს სსრ კან. და განკ. კრებ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 21) შეთანხმებულ იქნეს სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. მაისის 14-ს დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1926 წლ. 35 №-რი მუხ. 251-252) გათვალისწინებულ სახელმწიფო ნოტარიატის ორგანიზაციის ძირითად პრინციპებთან—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ნოტარიატის 1, 2, 3, 4, 7, 8, 9, 10, 11, 12 მუხ., მე-13 მუხ. მე-2 შენიშვნას, 14, 15, 16, 19, 20, 21 და 23 მუხ. მიეცეს შემდეგი რედაქცია:

მუხ. 1. სანოტარო კანტორას დაეკისრება: ა) სანოტარო დამოწმება ყოველგვარი გარიგებისა, რომლის დამოწმებისათვისაც სამოქალაქო სამართლის კოდექსით და სხვა მომქმედი კანონით სანოტარო წესია შემოღებული, და აგრეთვე მხარეთა სურვილით ყველა სხვა სამოქალაქო ხასიათის გარიგების; ბ) კანონით გათვალისწინებული პროტესტის ქმნა; გ) შემოწმება ყოველგვარი დოკუმენტის ასლისა და სავაჭრო დავთრისა ან სხვა დავთრის თუ დოკუმენტის ამონაწერისა, აგრეთვე ხელმონაწერის სინამდვილისა; დ) დადასტურება თანამდებობის პირისა და დაწესებულების, აგრეთვე კერძო პირის მოთხოვნით უდავო გარემოებისა, როგორც არის დოკუმენტის წარდგენის დრო, ამა თუ იმ პირის განსაზღვრულ ადგილას ყოფნა, ერთი პირისაგან მეორისათვის ახსნა-განმარტების თუ მოთხოვნის წარდგენა და სხვ.; ე) ასლებისა, რეესტრის ამონაწერის და სხვ. გაცემა; ვ) სხვა და სხვა პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესანახად მიღება.

მუხ. 2. ხელშეკრულება არამუნიციპალიზაციაქმნილი შენობის გასხვისებისა და დაგირავებისა, აღნაგობის უფლების დამყარებისა, გასხვისებისა და დაგირავებისა დამოწმებულ უნდა იქნეს იმ ადგილის სანოტარო კანტორაში, სადაც შენობა ან შენობის ასაგებად გაცემული მიწის ნაკვეთი მდებარეობს. აქტი შენობისა და აღნაგობის უფლების გადაგირავებისა და ამ გირავნობით უზრუნველყოფილ მოთხოვნის გადაცემისა, აგრეთვე აქტი გირავნობით მოსპობისა, დამოწმებულ იქნება იმავე სანოტარო კანტორაში, სადაც დამოწმებულია დაგირავების გარიგება. ყველა სხვა ხელშეკრულების დამოწმება, ყოველი

დადასტურება და სხვა სანოტარო მოქმედება შესრულება ამა თუ იმ სანოტარო კანტორაში, მხარეთა სურვილისამებრ.

მუხ. 3. ნოტარიუსი, მიიღებს რა მოთხოვნას რაიმე, ამა დებულების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული, სანოტარო მოქმედების შესრულების შესახებ, უნდა დარწმუნდეს, შეესაბამება თუ არა ის მოქმედება, რასაც მისგან მოითხოვენ, ან შესაძლებლად წარდგენილი გარიგება და დოკუმენტი მომქმედ კანონებს, და უკეთუ კანონშესაბამობა რამ აღმოჩნდა, უარა უნდა სთქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე.

ნოტარიუსი არ განიხილავს, თუ რამდენად მიზანშეწონილია დასამოწმებლად წარდგენილი გარიგება, რამდენად სასარგებლოა იგი ან საზარალოა მხარეებისათვის. ნოტარიუსმა უნდა გამოარკვიოს აგრეთვე, გადახდილია თუ არა ამა თუ იმ დოკუმენტზე დაწესებული გამოსაღები.

მუხ. 4. ნოტარიუსის უარი ამა თუ იმ მოქმედებაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, წერილობით უნდა იქნეს გამოთქმული და აღინიშნოს უარის მიზეზი და სათანადო კანონი. დამოწმება და შემოწმება უნდა მოხდეს ან უარი ამ მოქმედებაზე განცხადებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს სამი დღის ვადისა სათანადო დოკუმენტების წარდგენიდან და გამოსაღების შეტანიდან.

მუხ. 7. სანოტარო კანტორა, იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული ფორმით, აწარმოებს შემდეგ დავთრებს: ა) რეესტრს კანტორის ყველა მოქმედების (თანასუქის პროტესტის გარდა) ჩასაწერად: გარიგების დამოწმებისა, ყოველგვარი შემოწმებისა, უდავო გარემოების დადასტურებისა, ასლისა და ამონაწერის გაცემისა და სხვ., აგრეთვე გადახდევინებული გამოსაღებისა და ბაჟისა; ბ) ცალკე რეესტრს თამასუქების პროტესტის ჩასაწერად; გ) საალფაბეტო სარჩევებს რეესტრებისათვის; დ) ფულის დავთარს კანტორაში შემოსული ფულისა და დოკუმენტის ჩასაწერად და აგრეთვე შემოსული ფულის დახარჯვის ჩასაწერად.

მუხ. 8. დავთრები და რეესტრები, გარდა საალფაბეტო სარჩევებისა, უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი და ფურცლობრივად შემოწმებული ოლქის სასამართლოს მდიანის მიერ, ოლქის სასამართლოს წევრის ხელმოწერილი და ოლქის სასამართლოს ბეჭედდასმული; ხოლო, უკეთუ სანოტარო კანტორა ოლქის სასამართლოს სამყოფელი ადგილის გარეშეა, ამ სასამართლოს დავალებით, დავთრებსა და რეესტრებს შეამოწმებს სახალხო სასამართლოს მდიანი, ხელს მოაწერს სახალხო მოსამართლე და დაესმება სახალხო სასამართლოს ოლქის ბეჭედი. ხარვეზებს დავთრებსა და რეესტრებში ხაზი უნდა გადაესვას, ამოფხეკა არ შეიძლება, ხოლო შესწორება და მინაწერი სხვა ფერის მელნით უნდა იყოს და სათანადო ჩანაწერის ბოლოში აღინიშნოს ნოტარიუსის ხელმოწერით. სანოტარო დავთრები და რეესტრები ყოველი წლის ბოლოს დასრულებულ უნდა იქნეს და ყველა დანართითურთ სანოტარო არქივს წარედგინოს; ამას გარდა, ნოტარიუსი მოვალეა—არა უგვიანეს ახალი წლის იანვრის 2-სა აცნობოს სანოტარო თანაგანყოფილებას, თუ რამდენი ნომერია სარეესტრო დავთარში.



მუხ. 9. სანოტარო დამოწმება შენობის გასხვისებისა და დაგირავებისა და აღნაგობის უფლების დამყარებისა, განსხვისებისა და დაგირავების ხელშეკრულებისა, სანოტარო დამოწმება აგრეთვე ანდერძისა და ყოველგვარი სხვა გარიგებისა, — სათანადო წარწერით აღინიშნება თვით გარიგებასა და დოკუმენტზე, სანოტარო კანტორის ბეჭდის დასმით. სანოტარო დამოწმება გარიგებისა ჩაიწერება სანოტარო რეესტრში.

ის აქტი, რაც კანონის ძალით, სანოტარო წესით უნდა იყოს დამოწმებული, წარედგინება სანოტარო კანტორას ორ ცალად მაინც, რომელთაგან ერთი, ძირითადი, დარჩება სანოტარო კანტორის საქმეებში.

მუხ. 10. გარიგების ყველა სანოტარო დამოწმებაში და აგრეთვე ყველა შემოწმებაში უნდა აღინიშნოს სანოტარო კანტორა, რომელმაც იგი დაამოწმა და შეამოწმა, იგრეთვე დრო: წელიწადი, თვე და რიცხვი, სათანადო შემთხვევაში კი — საათიც; ეს დამოწმება ან შემოწმება ნოტარიუსის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედ-დასმული უნდა იყოს.

მუხ. 11. ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ყველა გარიგება გარკვევით და მკაფიოდ უნდა იყოს დაწერილი-ყოველი რიცხვი, ნომერი, ვადა, რაც-კი დამოწმებული გარიგების შინაარს შეეხება, ერთხელ მაინც უნდა აღინიშნოს სიტყვებით. ამოფხეკა არ შეიძლება. ხარვეზს ხაზი უნდა გადაესვას; ყოველგვარი შესწორება და მინაწერი სხვა ფერის მელნით უნდა იყოს შეტანილი და აღინიშნოს გარიგების ტექსტის ბოლოს. გარიგების მონაწილე პირთა ხელმოწერის წინ, გარდა ამისა, ყოველი შესწორება და მინაწერი ნოტარიუსმა უნდა აღინიშნოს თვით გარიგების დამოწმების წარწერის ტექსტშიაც. ამასთანავე ტექსტი ისე უნდა იყოს შესწორებული, რომ შეიძლებოდეს პირვანდელი სახით წაკითხვა ყველა იმისა, რაც შეცდომით იყო დაწერილი, ხოლო შემდეგ შესწორებული და წაშლილი.

მუხ. 12. ნოტარიუსის მიერ დასამოწმებელ გარიგებაში, უდავო გარემოების დადასტურებაში და ყოველ შემოწმებაში მონაწილე პირთა აღნიშვნის დროს დაწვრილებით უნდა იყოს მოყვანილი მათი სახელი, მამის სახელი და გვარი, აგრეთვე საცხოვრებელი ადგილი და პროფესია ან თანამდებობა, ხელმონაწერში კი — მხოლოდ სახელი, მამის სახელი და გვარი.

მე-13 მუხლის მე-2 შენიშვნა. უკეთეს გარიგებისა და სანოტარო მოქმედების მონაწილე პირს ნოტარიუსი პირადად იცნობს, იგი ამ გარემოებას დამოწმებასა და შემოწმებაში აღნიშნავს და ასეთ შემთხვევაში აღნიშნულ პირთა ვინაობის გამორკვევა სხვა რამ საშუალებით საჭირო არ არის.

მუხ. 14. ნოტარიუსის მიერ დასამოწმებელი გარიგება შეიძლება დაიწეროს ქართულ ენაზე ან და სხვა ენაზე ქართულზე გადმოთარგმნით. თარგმნის სისწორეს შეამოწმებს ნოტარიუსი. უკეთეს ნოტარიუსმა ის ენა არ იცის, რაზედაც დაწერილია გარიგება, თარგმანის სისწორეს შეამოწმებს ვინმე ისეთი პირი, ვისაც ნოტარიუსი პირადად იცნობს. მთარგმნელის ხელმონაწერსაც ნოტარიუსი შეამოწმებს.

მუხ. 15. უკეთუ ნოტარიუსის მიერ დასამოწმებელ გარიგებაში მონაწილე პირს, წერა-კითხვის უცოდინარობისა, აყადმყოფობისა ან სხვა მიზეზის გამო, არ შეუძლიან გარიგებაზე ხელი მოაწეროს, მან თვის მაგიერ გარიგებაზე ხელის მოწერა ნოტარიუსის თანადასწრებით სხვა პირს უნდა მიანდოს. ნოტარიუსი გარიგების დამოწმების ტექსტში აღნიშნავს, რომ გარიგებაში მონაწილე პირს ამა და ამ მიზეზით არ შეეძლო თვითონ მოეწერა ხელი, და რომ გარიგებაში მონაწილე პირმა მისი, ნოტარიუსის თანადასწრებით, თვის მაგიერ ხელის მოწერა ამა და ამ პირს მიანდო.

არასრულწლოვანისა და სხვა არაქმედობაუნარიანი პირის სახელით ან მის სახელზე დადებული გარიგების სანოტარო დამოწმების წესი განსაზღვრულია მეურვეობის კანონებში.

მუხ. 16. ვინცოცაა ნოტარიუსი ამოწმებს ყრუს, მუნჯის ან ყრუ-მუნჯის სახელით და მის სახელზე დადებულ გარიგებას, ეს გარიგება, უკეთუ ყრუმ, მუნჯმა ან ყრუ-მუნჯმა წერა-კითხვა იცის, წარედგინება მას წასაკითხავად და მან საკუთარის ხელით უნდა წააწეროს, რომ გარიგება მას წაკითხული აქვს და იგი თანახმაა გარიგების შინაარსისა; ხოლო უკეთუ ყრუმ ან მუნჯმა, მაგრამ არა ყრუ-მუნჯმა (სამოქ. სამ. კოდ. მე-8 მუხ.), წერა-კითხვა არ იცის, მოწვეულ უნდა იქნეს ორი პირი: ერთი ყრუ ან მუნჯის არჩევით, ისეთი, რომელმაც მასთან ლაპარაკი იცის, მეორე ისეთი, რომელსაც ესმის მათი ლაპარაკი და რომელიც გარიგებაზე საკუთარი ხელმოწერით დაადასტურებს, რომ გარიგება, შეესაბამება ყრუს ან მუნჯის ნებისყოფას.

უკეთუ სანოტარო წესით დასამოწმებელი გარიგების მონაწილე უსინათლოა, გარიგება დაიდება უსინათლოს მიერ არჩეული მოწმის თანადასწრებით; ხსენებული მოწმი ნოტარიუსის თანადასწრებით წაუკითხავს გარიგებას უსინათლოს და მისი თხოვნით ხელს მოაწერს გარიგებას, ხოლო ნოტარიუსი ამ გარემოებას დაამოწმებს თვით გარიგებაში.

მუხ. 19. გარიგების სანოტარო დამოწმებისათვის წარდგენილი დოკუმენტის დედანი დარჩება კანტორის საქმეებში, უკეთუ ამ გარიგებასთან დაკავშირებით მას იურიდიულბ ძალა დაეკარგა. წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტის დედანს წაეწერება, რომ გარიგება დადებულია, და იგი დაებრუნება იმ პირს, ვინც წარადგინა. უკეთუ საჭიროება მოითხოვს, მონაწილე პირთა ხარჯით, გადაიღება დოკუმენტის დედნის ასლი, რომელსაც ნოტარიუსი შეამოწმებს და კანტორის საქმეებში დასტოვებს. საქმეში მონაწილე პირს შეუძლიან მიიღოს დატოვებული დედნის ასლი. ვინაობის მოწმობა პატრონს დაუყოვნებლივ დაებრუნება.

მუხ. 20. შენობისა და აღნაგობის უფლების გასხვისების და დაგირავების გარიგების დასამოწმებლად ნოტარიუსმა უნდა გამოარკვიოს, რომ არ ყოფილა არსებული წესით აკრძალული ამ შენობისა და აღნაგობის უფლების გასხვისება ან დაგირავება.

მუხ. 21. გარიგების დამოწმების დროს ნოტარიუსმა უნდა გამოარკვიოს, არიან თუ არა გარიგების დამდებნი სწორედ ის პირები, როგორც თავის თავს

ასახელებენ, აქვთ თუ არა მათ უვლება დასდონ ეს გარიგება, და ის, რომ გარიგებას ნამდვილად მათ მოაწერეს ხელი. ნოტარიუსი გარიგებას წააწერს, რომ ყველა აღნიშნული გარემოება მან გამოარკვია, თანაც აღნიშნავს იმ საშუალებას, რომლითაც ნოტარიუსი დარწმუნდა, რომ მონაწილენი სწორედ ის პირნი არიან, როგორც თავის თავს ასახელებენ.

მუხ. 23. გარიგების მონაწილე პარსა და დაწესებულებას შეუძლიან, უკეთეს იგი მოისურვებს, მიიღოს მის მიერ წარდგენილი აქტისა და დოკუმენტის ასლი და რეესტრის ამონაწერი. გარეშე პირთა და დაწესებულებას კი ასეთი ასლი და ამონაწერი მიეცემა მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სასამართლო-სავამომძიებლო ორგანოს უფლება აქვს პირდაპირ მოითხოვოს და მიიღოს ამონაწერი და ასლი.

შენიშვნა. იუსტიციის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს განკარგულება გასცეს, უკეთეს კი ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესი, რათა მთავრობის ამა თუ იმ დაწესებულებას ეძლეოდეს სანოტარო კანტორის დავთრებიდან და საქმეებიდან ცნობები განსახლდრული კატეგორიის საქმეთა შესახებ.

II.

ამოიშალოს სახელმწიფო ნოტარიატის დებულების მე-17 და მე-18 მუხლები.

III.

სახელმწიფო ნოტარიატის დებულებას დაემატოს მე-3¹ და 10¹ მუხლები შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 3¹. სანოტარო მოქმედების შესრულების დროს ნოტარიუსი მოვალეა აქტიურად ხელი შეუწყოს მშრომელთ მათი უფლებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად, რათა მათი იურიდიული მოუშაადებლობა, წერა-კითხვის ნაკლებად ცოდნა და სხვა ამგვარი გარემოება გამოყენებულ არ იქნეს მათ საზიანოდ.

მუხ. 10¹. შენობისა, აღნაგობის უფლების გასხვისებისა და დაგირაგების გარიგების სანოტარო წესით დამოწმების დროს ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს, რომ ქონება სწორედ იმ პირს ეკუთვნის, რომელიც მას ასხვისებს, ან აგირაგებს, აგრეთვე რომ ეს ქონება შეკრული არ არის (ან მას ყადაღა არ აქვს დადებული) (ან ამ მხრივ გარიგების დადებისათვის არავითარი დაბრკოლება არ არის. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის დრ. აღმასრულებელი გ. მგალობლიშვილი. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ალ. სალარიძე.

1927 წ. აპრილის 6.

ტფილისი-სასახლე.

69. დადგენილება ს. კ. ს.

სახელმწიფო დაწესებულებებში მეცადინეობის დაწყების დროის შესახებ.

სახელმწიფო დაწესებულებებში მეცადინეობის დაწყების თანაბარი დროის დასაწესებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში მეცადინეობა დაწყებულ იქნეს ზაფხულობით, ე. ი. მაისის 1-დან ოქტომბრის 1-მდე 8; საათიდან 14¹/₂ საათამდე და ზამთრობით, ე. ი. ოქტომბრის 1-დან მაისის 1-მდე—9 საათიდან 15¹/₂ საათამდე.

2. ყოველკვირეული დასვენებისა და უქმე დღის წინა დღეს, გარდა დასვენების განსაკუთრებულ დღეებისა, მეცადინეობა ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში დამთავრდება: ზაფხულობით 14 საათზე და ზამთრობით 15 საათზე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის დრ. აღმასრულებელი **გ. მგალობლიშვილი**.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **აღ. სალარიძე**.

1927 წ. აპრილის 29.

ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-96 №-ში 1927 წ. აპრილის 30.

70. დადგენილება ს. კ. ს.

საავტო-ტრანსპორტო ღონისძიებათა შესახებ.

სტულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის იანვრის 19-ს დადგენილების (ოქმი № 2, მუხ. 2) თანახმად — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოს შემოწმების საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოში, აგრეთვე ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და კერძო საწარმოში ავტო-ტრანსპორტის პასუხისმგებელი ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია.

შესამოწმებელ თანამდებობათა სიას და შემოწმების ვადასა და წესს განსაზღვრავს ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველო, შრომის სახალხო კომისარიატთან და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედ ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას და კერძო საავტო-ტრანსპორტო საწარმოს მოშალის აღნიშნულ პირებთან დადებული შრომის ხელშეკრულება შრომის კა-

კონთა კოდექსით (47 მუხ. „ვ“ პუნ. და ამ მუხლის შენიშვნა) და კოლექტიური ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისამებრ,—უკეთეს შემოდ გათვალისწინებული შემოწმებით გამორკვეული იქნება მათი კვალიფიკაციის შეუფერებლობა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს და ამ რესპუბლიკას ტერიტორიაზე მომქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციას და კერძო საწარმოს—ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნულ თანამდებობაზე ამა თუ იმ პირის დანიშვნა შეუთანხმოს ხოლმე ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოს.

4. დაევალოს წინა მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათ, საწარმოთ და ორგანიზაციათ მოახდინონ ხოლმე თავიანთი ავტო-მანქანების ყოველთვიური ტექნიკური გისინჯვა-დათვალიერება ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამმართველოს ინსტრუქციით განსაზღვრული წესისამებრ.

5. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს—ლონისძიება მიიღოს, რათა ქალაქისა და მაზრის მილიციამ გააძლიეროს მეთვალყურეობა და ავტომობილებისა და მოტოციკლეტების მოძრაობისა და ხმარების წესების სასტიკი შესრულებისათვის; თანაც ამ წესების დარღვევისათვის მილიციამ დამნაშავენი სათანადო პასუხისგებაში უნდა მისცეს.

6. დაევალოს მილიციის ორგანოებს ყველა საავტო-ტრანსპორტო შემთხვევა დაუყოვნებლივ ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამართველოს ან მის ადგილობრ ვ ორგანოებს აცნობონ.

შენიშვნა. ინსტრუქციას ამა მუხლის შეფარდებისათვის გამოსცემს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერკავკასიის საოლქო სამართველოსთან შეთანხმებით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **აღ. ხალარიძე.**

1927 წ. თებერვლის 28.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 57 №-ში 1927 წ. მარტის 12.

71. დადგენილება ს. კ. ს.

ადგილობრივი საბჭოების ქონებათა ინვენტარისაციის შესახებ.

ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლიანობის გადიდებისა და ადგილობრივი საბჭოების ქონებათა მიზანშეწონილი ექსპლუატაციისათვის საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ადგილობრივი საბჭოების ქონების სწორი და უმეტესაქლებო აღრიც-

ზვისა და შეფასებისათვის ავტონომიურ რესპუბლიკებს, მაზრის აღმასკომებს და ქალაქის საბჭოებს დაევალება, სრული ინვენტარიზაცია მოახდინონ საბჭოების ქონებისა შემდეგ საფუძველზე:

ა) ინვენტარიზაცია განხორციელებულ უნდა იქნეს ერთდროულად, ე. ი. განსაზღვრულ ვადაზე მთლად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და ყველგან თანაბრად, ქონებათა ჯგუფების მიხედვით;

ბ) ქონების აღრიცხვა უნდა შეეხოს მხოლოდ ისეთ ქონებას, რაც ნატურა არის, და იგი შემოწმებულ უნდა იქნეს დავთრებთან, იმ შემთხვევის გამოკლებით, როდესაც ქონების გადათვლა, გადაწონვა და სხვ. სრულიად შეუძლებელია;

გ) შეფასება რეალური უნდა იყოს, ე. ი. არსებული ვალიუტით და ბაზრის ფასების მიხედვით;

დ) ქონება აღინუსხება ბიუჯეტების დიფერენციაციის მიხედვით, ე. ი. ცალ-ცალკე: თემობით, მაზრობით, სამაზრო ქალაქებით და უმაზრო ქალაქებით. აღნუსხვისა და შეფასების ცნობები ჯუშლებად უნდა წარედგინოს სამაზრო საფინანსო განყოფილებას, რომელიც თავისი იხრით წარუდგენს მას საქართველოს ფინსახკომს;

ე) ინვენტარიზაცია შეეხება მთლად იმ ქონებას, რაც კი გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტით და აღმასკომების ფაქტიურ გამგებლობასა და სარგებლობაშია, აგრეთვე ისეთ ქონებასაც, რომლის იურიდიული კუთვნილება ჯერ გამორკვეული არ არის.

2. მუშაობას ინვენტარიზაციის განსახორციელებლად ადგილობრივი ორგანოები უნდა შეუდგნენ ამა დადგენილების მიღებისთანავე და დაამთავრონ არა უგვიანეს სამი თვისა. საინვენტარიზაციო ქონების შეფასება უნდა მოხდეს 1926 წ. ოქტომბრის 1-თვის არ ებული ფასების მიხედვით.

3. საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ინვენტარიზაციის განხორციელებისათვის დაეკისრება რესპუბლიკანურ და სამაზრო კომისიებს. რესპუბლიკანური კომისია მოეწყობა საქ. ფინსახკომთან ამ უკანასკნელის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელთა შედგენილობით. ხოლო სამაზრო კომისია მოეწყობა სამფინგანის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით, სამაზრო პროფბიუროს და სამაზრო სტატბიუროს წარმომადგენელთა შედგენილობით.

4. ტექნიკურად ინვენტარიზაციის განხორციელება დაეკისრება ადგილობრივ კომისიებს, რომელნიც მოეწყობიან:

ა) აღმასკომის თითოეულ განყოფილებასთან, ამ განყოფილების წარმომადგენლის თავმჯდომარეობით და სამფინგანის და მთავარ ბუხჰალტერიის წარმომადგენელთა შემადგენლობით;

ბ) თემის აღმასკომთან—თემადმასკომის წევრის თავმჯდომარეობით და



საუნიანსო ნაწილის წარმომადგენელისა და თემის ერთ-ერთ თანამშრომლის შედგენილობით.

5. ინვენტარიზაციის განხორციელების დროს ქონებრივი ფონდები დანაწილებულ უნდა იქნეს ძირითად (მუდმივი დამოუკიდებელი მნიშვნელობის ქონება) და საბრუნავ ფონდად (ერთხელ გამოსაყენებელი ქონება: სათბობი, წასაცხობი მასალა და სხვა).

6. ის ქონების ფონდები, რაც გადაცემულია დროებით შენახვისათვის ან დროებით სარგებლობისათვის, აღნიშნულ უნდა იქნეს საერთო საფუძველზე.

7. აღნიშნული ქონება შემოწმებულ უნდა იქნეს ხოლმე წელიწადში ერთხელ მაინც იმავე წესით, რა წესითაც პირვანდელი აღნუსხვა მოხდება.

8. ყოველი საბიუჯეტო წლის დასასრულს დაწესებულება თუ საწარმო ჯამს გაუკეთებს ყველა იმ ცვლილებას, რაც ქონების შედგენილობაში მოხდება, ე. ი. რა დააკლდა ან შეემატა ქონებას და აგრეთვე მის ღირებულებას.

9. საინვენტარო დავთარი წარმოებულ უნდა იქნეს მარტივი საგნობრივი პირადი ანგარიშების ფორმით.

10. დაევალოს საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს ორი კვირის განმავლობაში და სახელმძღვანელოდ დაგზავნოს ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისარიატის საბჭოს თავმჯდომარის

მოადგილე **ხ. ჯუღელი.**

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისარიატის საბჭოს საქმეთა მმართველი
აღ. ხალარძე.

1927 წ. თებერვლის 28.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 81 №-ში 1927 წ. აპრილის 12-ს.

72. დადგენილება ს. ს. რ.

დასარგავი მასალის ხვედრებული დეზინსექციის შესახებ.

სანერგეებიდან გაცემული დასარგავი მასალის მიზნით ხეხილის მვენებლების გავრცელებასთან საბრძოლველად საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოს, რომელსაც ხეხილის სანერგე აქვს, დეზინსექცია გაუკეთოს გოგირდნახშირბადით როგორც გასაყიდ, ისე სანერგეში დასატოვებელ დასარგავ მასალას.

2. ის კერძო საწარმო და პირი, რომელიც გასაყიდ დასარგავ მასალას ამზადებს, მოვალეა აუცილებლად დეზინსექცია გაუკეთოს ამ დასარგავ მასალას სახალხო მამულების სანერგეებში, აგრონომიულ პუნქტებზე ან მიწადმოქ-

მედების სახალხო კომისარიატის მიერ სპეციალურად საამისოდ დანიშნულ ადგილას.

შენიშვნა. დასარგავი მასალის დეზინსექცია მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის შემოაღნიშნულ დაწესებულებებში უფასოდ მოხდება.

3. დასარგავი მასალის მყიდველს დეზინსექციის გამკეთებელი დაწესებულება მისცემს სათანადო მოწმობას.

4. ინსტრუქციის გამოცემა ამა დადგენილების შეფარდებისათვის დაეკისრება მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს.

5. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეს, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, ადმინისტრატიული წესისამებრ, გადაეწყვიტება ჯარიმა ას მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **აღ. სალარიძე.**

1927 წ. მარტის 2.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-55 №-ში 1927 წ. მარტის 10.

73. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

მოხაზულობისათვის სასროლი იარაღის ჩამორთმევის შესახებ.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო საქართველოს სსრ სა-
მოქალაქო სამართლის კოდექსის 23 მუხლის თანახმად ადგენს:

1. ჩამოერთვას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მყოფ მოქალაქეთ ყო-
ველგვარი სასროლი იარაღი, რაც აქამდე რაიმე მიზეზის გამო ჩამორთმეული
არ იყო.

შენიშვნა. დადგენილება ესე არ გავრცელდება სანადირო იარაღ-
ზე, რის შექენა, შენახვა და ტარება განსაზღვრულია ცალკე წესებით.

2. ყოველი მოქალაქე მოვალეა ჩააბაროს მის ხელთ ქონებული იარაღი
ორი კვირის ვადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

3. ჩამოსართმევი იარაღი ჩაბარდება თემის აღმასრულებელ კომიტეტს
ან სოფლის საბჭოს, ხოლო ქალაქად - მილიციის სამმართველოს.

შენიშვნა. იარაღის მიღების შესახებ გაიცემა სათანადო ქვეთარი.

4. სასროლი იარაღი არ ჩამოერთმევა ისეთ პირს, რომელსაც იარაღის
შენახვა და ტარება ნებადართული აქვს არსებული წესისამებრ სამსახურის ხა-

სიათისა და მის მიერ შესასრულებული სამუშაოს მიხედვით ან ომში და რევოლუციონური დამსახურებისათვის.

შენიშვნა. ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე გაცემულ ყოველ მოწმობას იარაღის შენახვისა და ტარების უფლების შესახებ ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს იმ წესით და იმ ვადაზე, რასაც სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო განსაზღვრავს.

5. ამა დადგენილების განსახორციელებლად სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწეობა სპეციალური კომისია სამი პირის შედგენილობით, რომელთაც აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში დანიშნავს.

6. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სახელის სამართლის კოდექსის 226 მუხლის თანახმად.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

8. დაევალოს აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ სასწრაფო წესით სათანადო დადგენილებანი.

9. დადგენილება ეს ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს სექმეთა მმართველი **ალ. სალარიძე.**

1927 წ. მარტის 22.

ტფილისი-სასახლე.